3 17

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

ბიბლიოთეკა
იზარდეთ, ბავშვანო, ჯაბილო,
დაამშვენეთ ეგზარდი ყანაო!..

№ VIII

152

აგვისტო 1907

ფელიეტონი მეთვრამეტე

ტ ფ ი ლ ი ს ი
ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“, მიხეილის ქუჩა, № 65
1907

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
საბჭოთაშუაფლ. რესპუბლიკ.

ქალბატონი ტეოფილე სტუმრად მრძანდება. (იხილე გვ. 14

317

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი

ყურნალი

№ VIII

ა გ ვ ი ს ტ ო

1907

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

სურიო—კატეგბის ყრილობა . . . . . .
II ჭკვიანი გულწითელა (რუსულიდან) . . . . . .
III სიფრთხილეს თავი არა სტკივა—ანიკოსი
IV ბროლია (გადმოკეთებული)—ტასოსი . . . . .
V რა მშვენივრებაა! (ფრანგულიდან)—შურასი . . .
VI ქალბატონი ტეოფილე, მოთხრ. ტეოფილე გოტ-
სი (ფრანგულიდან)—ედ. წერეთლისა . . . . . .
VII ორი ძმა, ხალხური ზღაპარი . . . . . .
VIII როგორ ზრდიან პირუტყვები თავიანთ შვილებ-
დათვები.—ს. ფ—ვასი . . . . . .
IX წერილმანი: გასასთობი, ანდაზები, გამოცანები, შ-
რადა, რებუსი . . . . . .
X ორი ყორანი შოტლანდიის ბალლადა—ასსმანისა .
XI განთიადი ახალი ცხოვრებისა, გაგრძელება—ნატალ-
კასრაძისა . . . . . .
XII ცრემლებით აღვსილი სურა. ბეშტაინის ზღაპარ-
(გერმანულიდან)—ალ. უუმისთავეულისა . . . . .
XIII ღარიბების მეგობრები (გაგრძელება) ივ. გომართელ-
XIV საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიიდან გაგრ-
ძელება ს. გორგაძისა . . . . . .
XV უგულო ბავშვი მოთხრობა მონგომერისა თარგ. ედ.
წერეთლისა . . . . . .
XVI მსოფლიო ისტორია ერ. ლავისისა. (ფრანგულიდან
—ალ. სარაჯიშვილისა . . . . . .

გამოვიდა ახალი წიგნი:

„ჩვენი მწერლობა“

სალიტერატურო ქრისტომატია. ნაწ. I: მგოსნები
ბიოგრაფიებით და ლექსიკონით.
შედგენილი ს. გორგაძის მიერ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—საბრალო ბაბუა.—დეკანი ცახუდაისა
II—მიზნის განზორციელება.—მოთხრობა ტეფტისა
III—ორ კაპეიკიანი.—მოთხრობა ელიასი
IV—აბეზარი.—დე ამიჩისისა, თარგმანი ნ. მაკუშა
V—საშობლო ქვეყანა.—თავი II ჯ. ვალეტეთა. ად. ეიუშისა
VI—ობოლი.—გ. ანდერსენისა
VII—პიროტეკნიკის სტუმარი.—თარგმანი, ტასო მაჩაბელი
VIII—ფიზიკა და ქიმია.—თარგმანი ნ. ფიმბერისა
IX—ანდაზები და გამოცანები.—ა) გამოცანები,—ბ) რებუსი,—გ) შემოწირულება,—დ) ½ ახსნა.

1957 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭკვიანი გულწითელა.

ერთ მებაღეს ჰყავდა ფრინველი გულწითელა, რომელიც მეტისმეტათ უყვარდა. ერთხელ ეს გულ-წითელა თავის პატრონთან მოფრინდა და თითქოს ყვედრებოდა თან გამოძყვეიო,

მებაღეც გაჰყვა იმ ყვავილის ქოთანთან, რომელშიაც გულ-წითელას ბუდე ჰქონდა გაკეთებული. თურმე ყვავილის ქოთანს გველი მოჩეოდა. მებაღემ ბედზე მოუსწრო და ბარტყები დროზე გადაარჩინა დაღუპვას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიფრთხილეს

თავი არა სტკივა.

მელამ ტყეში დაინახა ტახი, რომელიც მისდგომოდა ერთ ბებერ მუხას და მის მაგარ მირკვებზე გულმოდგინეთ ილესავდა თავის ეშვებს.

მელამ მიიხედ-მოიხედა და მალიან გაუკვირდა, ეს ტახი რისთვის ილესავს ეშვებს, როდესაც მტერი არსადა ჩანს.

— მმობილო, გამაგებინე, მაგას რას ჩადიხარ?

— ეშვებს ვილესავ, ჩემო მელია!

— რა უცნაური [illegible]ლხარ, რათ გინდა, რომ ეშვებს ლესავ, როდესაც მტერი არსადა ჩანს! ვის უნდა ეომო?

ტახმა თავი გაიქნ-გამოიქნია და უთხრა:

— ეე, ჩემო მელიავ, სიფრთხილეს თავი არა სტკივა. გვიანლა იქნება მზადება, როდესაც მტერი კარს მოგადგება, მაშინ ხომ მშვიდობით ცოლო და შვილო.

ანიკო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრიოლია.

(გადმოკეთებული)

ერთ გადასვლაზე იყო. მაინც საშინლათ მცხელოდა, დავიღალე ტეის ნაპირას შევამჩნიე ბატარა, კობწია, ხის სახლი. გავეშურე იქითკენ. სახლ წინ მწიოლარე ძაღლი ყეფით მოგვარდა.

სახლიდან ყეფის ხმაზე გამოვიდა ერთი შუა ხნის კაცი, ძაღლი ჩააჩუმა და მე სახლში შიმიწვია.

— მობრძანდით ჩვენ შინაურ საძსარზე, დაისვენეთ.

ეს კაცი ისეთი გულიანათ და ტკბილათ მიწვევდა თავისთან, რომ მეც მოურიდებლათ შევედი სახლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ დიდი სისუფთავე დამიხვდა. მასპინძლის ცოლიც ასე იქნებოდ ოც და ათი წლის დედაკაცი, თავისი სამ-პატარა შვილით ძალიან გულ ახდილათ შემეგებენ.

მასპინძლებს მიჭბაძა ოჯახის ერთგულმა ძაღლმ-

—ბროლიამ და აღარა შშორდებოდა, მალაქუცებოდა, მეალერსებოდა და ბოლოს ჩემ კალთაზე დადო თავი და ჭკვიანი თვალებით შემომცქეროდა.

—რა კეთილი და კაი ჰირუტუვია, ვთქვი მე,— მაგრამ რაზე დაკოჭლებულა, უსათუოდ ქოფაკი ძაღლები ჩხუბს აუტეხდენ...

—არა, ჩემო ბატონო, მე ვარ ამაში დამნაშავე ბროლიას რომ კოჭლს ვხედავ, მუდამ ჩემი დანაშაულოა თვალწინ მიდგია.

—რაში იგონებ მწარე დღეებს, ჩემო კარგო-უთხრა ტკბილათ ცოლმა.

—ზოგჯერ კაცს ისეთი რამე გადახდება, რომ მისი დავიწყება შეუძლებელია. და ახლა მინდა ჩემ-თავგადასავალი ვუამბო ამ ჩვენ მგზავრს:

—,,მე შეშის მჭრელი ვარ და ათი წელიწადი-რაც ცოლი შევირთე. ჰირველათ სამ-ოთხს წელიწადს მშვიდობიანათ და მუდრომ ვცხოვრობდით; მერე კი ცოტ-ცოტა, დავიწყე ზარმაცობა. ამხანაგებში დროს გატარებამ გამიტაცა. აღარც ცოლი, აღარც შვილები ახსოვდენ. გონება ამერია. მხოლოთ მაშინ გგრძნობდი ბედნიერებას, როდესაც ამხანაგებში ვერთობოდი. ოთველ დღე დუქანში შემქონდა მთელი დღის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამუშევარი. ჩემი ცოლის ტირილი და ვედრება არაფ-
რად მიმაჩნდა, შვილები უყურადღებოთ მიგდებული
მყავდა. გათენებისას გავდიოდი სახლიდან და მხო-
ლოთ გვიან ღამე ნასვამი შემოვდიოდი. ჩემი მიზე-
ზით ოჯახი გამინადგურდა და მე კი ამას არაფრათ
ვიმჩნევდი.

„ჩემი ცოლი, მუმუმაწოვარი ბალღით და ორი შვი-
ლით, რომელნიც დედის კაბას ჩამოკონწიალებოდენ,
ხშირათ დუქანში შემომივარდებოდა, მე უგულოთ ვაგ
დებდი და ისიც ტირილით მანებებდა თავს.

„ბროლიას მოშორება კი ძნელი იყო, ჩაცუცქდე-
ბოდა ჩემ პირდაპირ ნაღვლიანათ და ევედრებით თვა-
ლებს არ მაშორებდა.

„ბოლოს ჩემ ცოლს მობეზრდა ჩემს უკან სია-
რული და მიმანება [illegible]. მხოლოთ ბროლიას ვერ
გადურჩი, დუქნის კარებს ფსაჯნიდა და არ მასვენებდა.

— ეეურე, შენი გადია კიდევ მოსულა, დაცინვით
მეუბნებოდენ ამხანაგები.

„მე გაჯავრებული გავრბოდი კარებისაკენ და ძაღლს
წიხლით და წეროვით ვაგდებდი.

„ერთხელ მე და ჩემი ამხანაგები მოვუსხდით სა-
დილს. ბროლია შემოპარულიყო ოთახში, დავიწყეთ
თუ არა სადილობა [illegible] ბროლია შემოხტა სუფრა-
ზე, მოიტაცა ერთი მთელი ბური და გაიქცა. გაჯავ-
რებული გამოვუდეგი, მაგრამ რას მოვეწეოდი. მაშინ
მოვიტაცე რამდენიმე ქვა და რაც ძალი და ღონე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მქონდა ვახალე. ერთი ქვა შიგ ფეხში მოხვდა ბავშვს ტეხა ფეხი; საბრალომ საშინლათ დაიტანჯა, მაგრამ პური მაინც არ გააგდო და სამ ფეხზე სწრაფად გაჭკურცხლა. ის პირდაპირ ჩემ სახლისკენ გარბოდა... რამდენიმე წუთის შემდეგ მეც შევედ სახლში, მაგრამ რომ იცოდეთ რა ვნახე? ჩემი საბრალო შვილები და მათი დედა გულიანათ სჭამდენ ბროლიას მოტანილ პურს. თვითონ ბროლია კი იმათთან ახლოს იჯდა და მოტეხილ ფეხს ილოკავდა. ამ [illegible]ახავობამ გამოძაფხიზლა. მსოლოდ ახლა წარმოიდგა თვალწინ ჩემი საძაგელი საქციელი.

— „კატარინე, ჩემო კატარინე, შეგვეგირე ცოლს. სხვა ვეღარა ვთქვი რა და ქვითინით ჩავიკარ გულში ჩემი ცოლშვილი. ჩემ ალერსს შვილები გაკვირვებულ შესცქეროდენ... მერე მოუბრუნდი ბროლიას და ძასაც გადავეხვიე.. საბრალო პირუტყვს აღარ ახსოვდა ჩემი ბოროტობა და მილოკავდა იმ ხელებს, რომლითაც ასე უსამართლოთ ვესროლე ქვა.

„ეს დღე იყო და ჩემ ოჯახში ისევ ადრინდელივით ბედნიერება და მეუდრეობა დატრიალდა. ახლა ხომ მიხვდებით, რატომ ცოლშვილს შემდეგ ბროლიაზე მეტათ არავინ მიყვარს და შეძის ძჯრელმა დაუწყო გაბურძგნულ ძაღლს სიყვარულით კოცნა“.

—

დიდ ხანს ვიჯექ თავჩაღუნული. მერე მახვინჭლებს მადლობა გადუხადე, მეც გადავკოცნე ჭკვიანი ბროლია და ნელის ნაბიჯით გაუდეგ გზას.

ტასო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა მშვენიერებაა!

ჩვენი დროის შესანიშნავი ასტრონომი იყო ერთი ფრანგი, სახელათ ჟოზეფ ლე ვერიე.

როდესაც ჟოზეფი ბავში იყო, ის როგორც ყველა ბავშვები ადრე წვებოდა: ზაფხულში მზის ჩახვლისთანავე, ზამთარში უფრო ადრე. ერთ საღამოს მამის ერთმა კარგმა მეგობარმა წაიყვანა ჟოზეფი თავის სახლში დროს გასატარებლათ. როდესაც ისინი ბრუნდებოდენ სახლში უკვე დაღამებულიყო. მშვენიერი ღამე იდგა, ცა ვარსკვლავებით მოჭედილიყო. ბავშმა აიხედა ზეცით და აღტაცებით დაიძახა.

— „შესხეთ ერთი, შესხეთ“.

თავისი ჰატარა თითით მან აჩვენა მამის მეგობარს ცაზე. ცა საკვსე იყო უთვალავი, ბრწყინვალე წერტილებით. ბავშმა ჰირველათ თავის სიცოცხლეში მიაქცია მათ ყურადღება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგ წერტილები ვარსკვლავებია, უთხრა ლიძილით მამის მეგობარმა.

— ო, რა ლამაზი ოოფილა ვარსკვლავი, ალტაცებით თქვა ემაწვილმა, — დახეთ, რა ლამაზია!. რა არის ვარსკვლავი, — დაეკითხა მერე თავის თანამგზავრს.

— ვარსკვლავი ეს იგივე მზეა, რომელსაც მხოლოდ ღამე ვხედავთ. თვითეული ვარსკვლავი ათი ათასჯერ უფრო დიდია, ვიდრე ჩვენი დედამიწა. შენ უსათუოთ იცი, რა ვეებერთელა რამ არის მზე, რომელიც ანათებს დედა-მიწას. წარმოიდგინე, რომ ვარსკვლავები შეუდარებლათ უფრო დიდნი არიან, ვიდრე მზე.

— მზეზე დიდი? გაიმეორა ეოზეფმა. სჩანდა რომ მას უძნელდებოდა ამის გაგება.

— მზეზე დიდი, დიახ. დამიგდე ეური. წარმოიდგინე რომ ჩვენი დედა-მიწა ბატარაა, როგორც ეი ეს კენჭი, რომელიც აგერ ჩვენს გზაზე გდია. მზე იქნება მაშინ ეი ეს დიდი ქვები, რომელნიც გზის ნაპიებზე აწყვია. ვარსკვლავები კი, როგორ გითხრა ალბა — ვარსკვლავები ეი ის ვეებერთელა მთაა — მაგრამ მთა, რომელიც უნდა ანათებდეს, რადგანაც ეველა ვარსკვლავი ცის სივრცეში არის კოცონი, დანთებული დიდი ცეცხლი.

— თუ ვარსკვლავი მართლაც მაგოდენაა, ის ძლიერ შორს უნდა იყოს, სულ შორს, რომ ასეთი ბატარა გამოჩნდეს, თქვა ნაფიქრებულმა ბავშვმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ მართალი ხარ. ისინი ძლიერ შორს არიან ჩვენგან. ვარსკვლავები, მეტადრე ზოგიერთი მათგანი, რომ მზესავით დედა-მიწაზე ახლო იყვნენ, დედამიწას უცბათ, როგორც ჩალას, მოეკიდებოდა ცეცხლი. აი რა სიშორეზე არიან ჩვენგან ვარსკვლავები. მზის

შუქი, რომელსაც შენ დილით ჰირველათ დაინახავ, იცი რამდენ ხანში აწვევს დედა-მიწას? მარტო რვა წუთს უნდება, რომ გაირბინოს ის მანძილი, რომელიც ჩვენ დედა-მიწას და მზის შუა არის. ამ მანძილს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკეთესო მატარებელი, გაირბენს სამას წელიწადში. ხედავთ, სხივი ჩვენამდის როგორ უფრო ჩქარა მოახწევს სხივი ისეთი სისწრაფით მორბის, რომ ერთი თვალის დახამხამებაზე რვაჯერ მოასწრობს დედა-მიწის მოვლას. მიეიღოთ მხედველობაში ის სისწრაფე, რომლითაც ჩვენამდის მოდის სხივი; ხედავ აი იმ ვარსკვლავს რომელსაც სირიუსი ჰქვიან, მისი სხივი ამ ვარსკვლავიდან მოახწევს ჩვენამდინ 22 წელიწადში მარტო შეიძლება შენ არც კი იუავი დაბადებული მაშინ, როდესაც სხივი, რომელმაც ახლა მოახწია შენამდის წამოვიდა იმ ვარსკვლავიდან. არის ისეთი ვარსკვლავები, რომლის შუქი ახწევს დედა-მიწას მხოლოთ ასი ოცი წლის მერე. არის კიდევ ისეთი ვარსკვლავებიც, რომლის შუქი მხოლოდ 2000,3000 წლის მერე მოახწევს დედა-მიწას. მაშ აი რამოდენა ხანი უნდება შუქს, რომ გაირბინოს მანძილი დედა-მიწას და ის ვარსკვლავის შუა, რომლისაგან წამოვა ეს შუქი.

ასეთ ლაპარაკში ქოზეფმა და მისმა თანამგზავრმა მალე მიაღწიეს სახლს.

ქოზეფი გაკვირვებით და გაოცებით ხან ცას შეჰყურებდა, ხან მამის მეგობარს. ის აღტაცებით იმეორებდა „რა მშვენიერებაა, რა მშვენიერება!“.

შევიდენ სახლში. ბავშმა დაწოლის წინ ერთი კიდევ შეხედა ცას. მხოლოთ ამის მერე დაეძინა... მთელი ღამე ესიზმრებოდა ვარსკვლავის მშვენიერი შუქი.

ამ ლაპარაკის შემდეგ ბავში გრძნობდა, რომ ცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი ვარსკვლავებით უცნაურად იხიდავდა მას. მან დაიწყო სწავლა და მუშაობა. გავიდა ხანი—უწინდელი ბავში, რომელიც გაოცებით უსმენდა მამის მეგობარს—ახლა მეცნიერი გახდა, მისთვის ცა იყო გახსნილი წიგნი, რომლის ფურცლებზე ნაწერს ის ადვილად კითხულობდა. ეს ის მეცნიერი იყო, რომელმაც აღმოაჩინა ახალი ვარსკვლავები და ასახელა თავისი სამშობლო.

შურა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალბატონი ტეოფილე *)

(მოთხრობა ტეოფილე გოტიესი)



ალბატონი ტეოფილე ლამაზი, მოწითალო ბატა იყო; თეთრი გულ-მკერდი ჰქონდა, ვარდისფერი ცხვირი და ლურჯი თვალები; ქალბატონ ტეოფილეს მიტომ ეძახდენ, რომ მე და ძმა მკვიდრი მეგობრული კავშირი გვაერთებდა; ლამე მას ეოველთვის ჩემ ლოგინზე, ჩემ ფეხთით ეძინა; დღეც ერთ წუთსაც მცილდებოდა; როცა მე ვწერდი,—ის, საგარძელში, ჩემ გვერდით, ტკბილათ ცნებობდა; როცა მე ბაღში სასეირნოთ ჩავდიოდი—ისიც თან მომყვებოდა; სადილსა და ვახშმის დროსაც მოწმეთ მესწრებოდა და, ხანდახან, წარმოიდგინეთ, ლუკმასაც კი

*) ტეოფილე გოტიემ, საფრანგეთის ცნობილმა მწერალმა, ამ პატარა მოთხრობაში თავისი კატა ასწერა, რომელიც გაგიკვირდებით უყვარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტაცებდა სელიდან, როცა მე ის საინიდან ჰირისაკენ მიმქონდა.

ამ მშვენიერ ჰატარა ცხოველს მეტათ ნაზი ენოსვა ჰქონდა; საშინლათ უყვარდა ყველაფერი, რასაც კი კარგი სუნი აქვს. მუსიკისაც დიდი მოტრფიალე იყო; როდესაც რომელიმე მომღერალი ქალი, ხმის საცდელათ, ჩემ ჰიანინოს მიუჯდებოდა, დაუკრავდა და დაამღერებდა—ქალბატონი ტეოფილე, ნოტების გროვაზე შესკუპული, დიდი ყურადღებით ისმენდა მის სიმღერას და მთელი თავისი შესედულობით ცხადათ ამტკიცებდა, რომ დიდ სიამოვნებასაც გრძნობდა. მაგრამ... ზედა ნოტები, სადაც მომღერალს ხმა უნდა აემაღლებინა—მას აღელვებდენ, ძარღვებს უშლიდენ; განსაკუთრებით ხმულდა მას ნოტა (ხმა) „ლა"; გაიგონებდა თუ არა მას—მაშინვე თავის ჰატარა თათით მომღერალ ქალს ჰირს უმუწავდა. ეს ყველას ართობდა, ცინებდა; ბევრი ხერხათ განგებ იმეორებდა ამ ხმას, რომ ქალბატონი ტეოფილე გამოეცადნა; და ქალბატონი ტეოფილეც უსათუოთ თავის თათს ტუჩებზე ეფარებდა, შეუძლებელი იყო ეს „ლა" გამოჰჰარვოდა, არ შეენიშნა.

ერ[illegible] ერთი ჩემი მეგობარი რამდენიმე დღით სხვაგან წავიდა და თავისი თუთიყუში მე დამიტოვა, რომ მის დაბრუნებამდის მომეკლო და შეპატრონა მისთვის. ფრინველი, რომელიც ბინის გამოცვლას ძალიან აებნია და დაეღონებია, აცოცდა სულ მაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა, მაღლა თავის ქანდარაზე და იქიდან მორიდებით იქითაქეთ თავისი დიდი რგვალი თვალების ტრიალი დაიწყო.

ქალბატონ ტეოფილეს თუთიეუში ჯერ არსად და არაოდეს არ ენახა. ამ უცნობი და უცნაური არსების თავის სახლში დანახვამ ის მეტათ გააოცა; დიდხანს დაკვირვებით უყურა მან ფრინველს, ერთ ადგილას უძრავათ გაშეშებულმა და ღრმათ იაფიქრებულმა; ეტყობოდა, რიგ-რიგათ ითვალისწინებდა ყველა იმ ცნებას ბუნების-მეტყველებისას, რომელიც კი ეზოში, ბაღში და სახლის სახურავებზე შეეძინა, და ცდილობდა გამოერკვია, რა სულიერი იმყოფებოდა მის წინაშე; მისი ფიქრების ხერდილი მის ლურჯ, ცვალებად თვალებში აცკარათ ისატებოდა, და მალე მე ადგილათ ამოვიკითხე ამ თვალებში შემდეგი საბოლოო დასკვნა: „ნამდვილათ ეს მწვანე ქათამი უნდა იყოსო“.

გადაწყვიტა ეს თუ არა, კატა მარდათ ჩამოხტა მაგიდიდან, რომელზედაც თუთიეუშის გულდასმით დასათვალიერებლათ მოთავსებულიყო, და, ოთახის ერთ კუთხეში, სწრაფათ იატაკს გაეკრა, თავი დაბლა დაღუნა, ფეხები მოიმაგრა და გადასახტომათ მოემზადა; ამ წამს ის ადამიანს სწორეთ ვეფხვს მოაგონებდა, რომელიც გარეულ თხებს და შველებს უდარაჯებს უდაბნოში, ტბის პირათ.

თუთიეუში კატის ყოველ მოძრაობას მოუსვენრათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალ-ყურს ადევნებდა, თან ფრთებს იბურძგნიდა, თავის ჯაჭვს ახმაურებდა, ნისკარტს ქანდარაზე ილესავდა და ხან ერთს, ხან მეორე ფეხს მაღლა სწევდა; შინაგანი გრძნობა ატეობინებდა, რომ მის ახლოს მტერი იყო, მტერი, რომელიც რაღაც გლასა საქმეს უპირებდა.

მართლა, ქალბატონი ტეოფილეს თვალები, რომლებიც პირდაპირ, ხარბათ მისჩერებოდენ ფრინველს, ნათლათ ამბობდენ ისეთ ენაზე, რომელიც თუთიყუშს კარგათ ესმოდა და რომელიც ძნელი გასაგები არ იყო: „თუმცა მწვანეა, ეს ქათამი მაინც გემრიელი უნდა იყოსო“.

მე ცნობის მოყვარეობით ვუთვალთვალებდი ეგეილა ამას და მზათ ვიყავი ჩავრეულიყავი, როცა ეს საჭირო გახდებოდა.

ქალბატონი ტეოფილე ნელ-ნელა, შეუმჩნევლათ უახლოვდებოდა ფრინველს; ის პატარა ვარდის-ფერ ცხვირს აცმაცურებდა, ლურჯ თვალებს ნაბავდა, ბრჭყალებს სან აჩენდა და ხან სრულიად ჭმალავდა; ზურგზე სამოვნების ჟრუანტელი უვლიდა; ეტეობოდა, ის ფიქრი, რომ ახლავე ამ იმშვიათ და უჩვეულო საჭმელს შეექცეოდა—წინ და წინვე პირში ნერწყვს ჭვრიდა, მადას უხსნიდა...

უეცრათ მის ზურგი შვილდივით მოიკაკვა და ერთი მძლავრი, ლამაზი ნახტომით კატა ზედ ქანდარაზე გაჩნდა.

-2'07-255
F152

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რეპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუთიეუშმა, მტერი რომ ასე ახლოს დაინახა, მოულოდნელათ დაბალი და ბოხი ხმით დინჯათ წამოიძახა:

— „დღეს საუზმე მიირ-რ-ოვი, ქაკო?“

ამ სიტყვების გაგონება და კატის წარმოუდგენელი, აუწერელი შიშით უკან გადმოხტომა ერთი იყო. საინების უშველებელი გროკა რომ მის წინ მიწაზე დავარდნილიყო და დამსხვრეულიყო, ზედ მის ფეხთან რომ ვისმე ხარბაზანი გაესროლა—ესეც კი ვერ დასცემდა ქალბატონ ტეოფილეს ისეთ თავზარს, როგორიც ამ სიტყვებმა დასცეს. ეველა ის ცნობები, რომელიც კი თავის სიცოცხლეში ბუნების მეტყველებიდან შეეძინა, ახლა სულ მთლათ ეფუშებოდა, ენგრეოდა...

— „რრა მიირ-ოვი საუზმეთ? —რრა და რრა, მომიტანეს!“—განაგრძო თუთიეუშმა.

კატის გაშტერებულმა თვალებმა ცხადათ ეს ფიქრი გამოსთქვეს: „ეს ქათამი კი არა, ადამიანი ეოფილა! ლაპარაკობსო!“

— „როცა მაგარ ღვინოს ვსვამ..

ეველაფერიტრიალებს,ტრიალებს, ტრიალებს...

ეველაფერი ტრრრიალებს ჩემს გარშემო!“—დასჭექა და დაამღერა თუთიეუშმა მაღალი, რიხიანი ხმით; ის მიმხვდარიყო, რომ მისთვის, თავის დასაცავათ, საუკეთესო იარაღი ლაპარაკი და სიმღერა იყო

კატამ ახლა მე შემომხედა, გამოუთქმელი გაკვირ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებით, თითქოს მეკითხებოდა, ეს რა ამბავიაო ალ-ბათ, ჩემმა ბასუხმა ვერ დააკმაყოფილა, ის ლოგინ-ქვეშ შეძვრა და მთელი დღის განმავლობაში მისი იქიდან გამოტეუება შეუძლებელი შეიქნა.

მეორე დილას ქალბატონმა ტეოფილემ, ცოტ-ოდნათ დამშვიდებულმა და გამხნევებულმა, ხელ ახლავ სცადა მწვანე ქათამი კლანჭებში ეგდო; მაგრამ ხელ ახლავ, როგორც წინა დღეს, ლაპარაკით და სიმღე-რით უკუგდებული იქმნა.

ეს იყო და ეს. ამას შემდეგ ქალბატონმა ტეო-ფილემ თუთიყუშს სამუდამოო თავი დაანება. იძულე-ბული გახდა ეს უცნაური ფრინველი ადამიანათ მიე-ღო.

(ფრანგულიდან)

ელ. წერეთლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი ძმა

ხალხური ზღაპარი

(ვ. მირიანაშვილის რვეულიდან).

ეო ორი ძმა, სულელი და ჭკვიანი. ჰყავდათ ერთი ძროხა. ჭკვიანი სამუშაოვარში წავიდა ძროხა სულელს ჩააბარა, აბალახეო და ძალიან გაანძრეო—კარგიო, უპასუხა სულელმა. ... ქარიანი შეხვდა. ძროხა წაიყვანა, მიიყვანა ერთი დიდი მუხის ძირში და უთხრა მუხას: მუხა, შეგიძლია აბალახო ეს ძროხა თუ არა? მუხა ქარმა გაანძრია, სულელს ეკონა—მუხამ თანხმობა გამოაცხადაო და ძროხა იქ დასტოვა.

შინ რო მოვიდა ძმამ ჰკითხა, ძროხა რა უყავიო? სულელმა უპასუხა: მუხის ძირში დავაბი და აბალახობსო. ... ძმამ სულელი წავიდა ძროხის სანახავათ და ნახა, რომ ძროხა დამხრჩვალიეო. გული მოუვიდა. მოსჭრა მუხა და მის ძირში ფულები იპოვა. აიღო და წაიღო შინ. ძმამ ჰკითხა: ძროხა რა უყავიო? მუხა ქარს მ... ... ... მოუკლავს, მუხის ძირში კი ფულები ... ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორ ზრდიან პირუტყვები

თავიანთ შვილებს.

დათვები.

დათვებს შვილების აღზრდაში ეხმარებიან გამ-
ლები. დედა-დათვი თვითონ აჭმევს ძუძუს
თავის მოუხეშავს შვილებს, თვითონ შოულობს მათ-
თვის საჭმელს, ოღონდ მათ მოსავლელათ ჰყავს გამ-
ელი. ეს გამდელი ნაქირავები კი არ არის, არა, ეს
არის ერთი უმფროსთაგანი შვილებში.

სოფელში უამბავია გინახავთ, როგორ უმფრო-
სი-ბავშვები უვლ[illegible]ან თავის უნცროს დებს და ძმებს.
დედ-მამას საქმე აქვთ დილიდან საღამომდე. მუშაობას
თავს ვ[illegible] დაანებებენ, სახლში კი ერთი-მეორეზე პა-
ტარა შვილები დაუტოვებიათ.

არამც თუ სოფელში — ქალაქშიაც ხშირათ ნახავთ
ასეთ გამდლებს, უმეტეს ნაწილათ ღარიბ ოჯახებში.

პატარა დათუნია ადრე იწყებს მუშაობას. მან
მხიარულათ გაატარა ზაფხული და შემოდგომა, ზამ-
თარიც გათავდა.—აი გაზაფხულიც მოვიდა და დაი-
წყო მისი გამდლ[illegible]ობა. ხომ მოუხერხებელი რამ არის
პატარა დათვი, მაგრამ თავის მოვალეობას ძლიერ
კარგათ ასრულებს. შეიხედეთ დათვის სოროში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამთარი მიწურულშია. იებერვალიც გათავდა, კარგადაც თბილა. ეოველგან დნება თოვლი, ტყეში გამოჩნდა კვალები.

პირველათ დათვმა გააღწია თვალი ზამთრის ძილისაგან. რა გაბეზდარა საწყალი. არა უშავს რა, სულ ახლოა გაზაფხული, მაშინ კი დათვი ს[illegible]ით გასუქდება.

რას შვრება დედა-დათვი შვილებით? ზამთარი მამამ ცალკე, სხვა სოროში, გაატარა. დედა შვილებით დარჩა ძველ სოროში. უმფროსი ძმა უგდებდა მათ ეურს.

უნცროსებს წელიწადი შეუსრულდათ, უმფროსი კი ორი წლისაა. ახლა ის დიდია, მას უფრო ძნელ საქმეს ბიანდობენ, ვიდრე ბავშების მოვლას: მას შეუძლია საჭმელის საძოვნელათაც გაემგზავროს.

მარტის პირველ რიცხვებში დედა-დათვს ეეოლა კიდევ პატარა დათვები. სოროში სივიწროვეა, და დედამ კარში გადენა უმფროსი შვილი და [illegible]ანდელი დათვები. დედა ახლა მათთვის საჭირო აღარ არის. მათი სოროში გაჩერება საშიშიც არის, ვაი თუ გასჭულიტონ ახალი დაბადებული დათუნიები. ერთი დათუ[illegible]ა რჩება სოროში, მან პატარებს უნდა [illegible]ოაროს; დანარჩენები, [illegible]ები და ძმები გავიდენ და თამაშობენ იქვე ახლო.

რა ძნელია ცხოვრების დაწყება, როდესაც მარტო ხარ, მაგრამ რას იზამ, უნდა გაუძღვე საქმეს, სულ დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხომ არ გეყოლება გვერდში, სულ ის ხომ არ გი-
შოვის საჭმელს, არ გასწავლის, არ დაგიცავს მტრი-
საგან.

ხშირათ დედა-დათვს ეყოლება ორი შვილი, ხან-
დისხან კი, ძლიერ იშვიათათ ოთხიც ერთათ.

პირველ ხანებში დედას ძლიერ უძნელდება მათი
მოვლა: დათუნიები ძლიერ პატარები არიან, სუსტები,
უძალლონეები და ბრმები. დათუნიებს უფრო ხშირად
სძინავთ, თუ არა სძინავთ ძუძუს სწოვენ. რა მშიშარე-
ბი არიან—თუ დათუნია მოშორდა დედის ძუძუს, მა-
შინვე ბღავილს ასტეხავს. კარგი რომ დედა იქვეა.
დედა სულ სოროში ატარებს დროს, გარეთ ვერ გა-
მოდის. მოუთმენლათ ელის იმ დროს, როდესაც შვი-
ლები ცვალს გაახელენ—მაშინ სხვა რამეც ეჭმევათ
დედის ძუძუს გარდა.

გაიარა ოთხმა კვირამ და პატარა დათუნიებმა
თვალები აახილეს. სოროს აშიშრავდა. ბავშვები დაკო-
ტრიალობენ. დედაც ახლა კარგ გუნებაზეა: ისიც გა-
ვა შვილებთან ერთათ გარეთ.

რა საოცარი რამ არიან პატარა ერთი თვის
დათუნიები!

დედას დასდევენ, ჩავარდებიან ორმოში და ამოს-
ვლას ვეღარ ახერხებენ. დედა ვერ მოუვლის მათ მარ-
ტო, მაგრამ გამდელიც ბეჯითათ არის. როგორც კი
გამოვლენ სოროდან, გამდელი მათ არ შორდება. ხე-
დავს, რომ პატარა ძაძია ვერ ამოვა ორმოდან, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელაშიაც ჩაკარდა, თვითონ ჩავა ორმოში და ამოიყვანს მას, ორი კვირა კიდევ და დათუნიები კარგად მოდონიერდებიან. ახლა სწავლის დროც არი. ჯერ საჭმლის შოვნა უნდა ასწავლონ. დედა ყველა მცილებით გაეგზავრება სადმე ტყეში ან სოფში. აქ ის ძლევს ბირველ გაკვეთილებს. დედა თხრის რაღაც



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბირებს დაჯმევს შვილებს, ეს უკანასკნელებიც ჭბ-ავენ მას, თხრიან ბირებს და ნელ-ნელა ეჩვევიან მათ მებნას. მერმე მიიყვანს ხესთან, დასწვევს ნორჩ ტოტებს და იმითი შვილებს ცხვირს გაუხიცინებს. ეს უკანასკნელები სტაცებენ ბირს, ტკბილი ეოფილა— ამას იგინი აღარ დაივიწყებენ.

მესამე თვეში გადადგენ დათუნიები, რა ეოჩაღები არიან ახლა. მშვენიერათ დაობიან, მართალია, უშნოთ, მაგრამ ბეარა. ხეებზე დაძვრებიან, ჭიდაობენ.

მხიარულათ ატარებენ დროს ბატარეები. მთელი დღე თამაშობენ, დაკოტრიალობენ. ახლა დედა-დათვი ისვენებს, ბავშები თამაშობენ, დედა კი შორი-ახლოა და ეგინთავს.

ძლიერ გათამამდენ ბატარეები. აგერ დედას ეცენ და გადააკოტრიალეს. დედა გაწყრა. შვილები ნამეტანი გაცელქდენ: დედის დაღრიალებამ არაფითარი გავლენა არ იქონია მასზე.

ერთ ერთი დათუნია შეეხება დედას ზურგზე, დედა გაწყრა, დაღრიალა და ბაკრა თავში. მეორე დათუნიას შეეშინდა და გაქცევა დაიბირა, მასაც დაეწია დედა და ერთი მუჯლუგუნა მასაც არგუნა. ხანდისხან გამდელსაც მიტეეპავს, რატომ ზარმაცობს და ეურს არ უგდებს ბატარეებსო.

ალ. ფ—ასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასართობი.

ერთხელ მამამ უთხრა თავის შვილს:

— დიდი სირცხვილია, შვილო, რომ შენ სამი წელიწადი ზიხარ ერთს და იმავე კლასში.

— რა ვუყოთ მერე, ჩვენი მასწავლებელი, თურმე ოცი წელიწადია ერთსა და იმავე კლასში ზის და არავინ კი საყვედურს არ ეუბნება.

(გერმანულიდან)

— დედილო, ბეჭის ხორცს მომიჭრი განა?

— არ იცი, რომ სადილზე ვინც ითხოვს, იმას არაფერი არ ერგება.

— მე ალარაფერს ვითხოვ, ჩემო დედილო!

— არც სამარილეში უნდა ჩაჰყო ხელი, რას ერჩი მაგ სამარილეს!

— დედილო, ... ბეჭის ხორცს უნდა მოვაყარო, როდესაც მომცემ.

(ფრანგულიდან)

ანდაზები.

ვინც კაცია—მამაცია.

ზოგან ბამბაც ჩხრიალებს, ზოგან კაც... არაო.

გამოცანები.

თვალში დიდი და ხელში არაფერი.

მირბის, მირბის და იქვე კი სდგას.

მაღლა ვზივარ, ეიქნევ ხელსა,
მოდი მამი შენის მზესა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ა რ ა დ ა.

(ალ. შიუკაშვილის მიერ წარმოდგენილი).

ანბანს ქვემოდან შემოაყე, მეშვიდე ასო იპოვე
და პირი სახის მეტეჭი იმ სამს ასოს მიაქსოვე,
ზაფხულამდი მიწაში სძლებს გინდ ზედ თოვლი დააგროვე,
არც ეფოჩოთ უშავს რამე, ისიც ციკნებს მოაძოვე.

ჩქარა გამოსათქმელი.

(წარმოდ. კ. სეხნიაშვილისაგან).

კატოს კატამ კოტეს მაკას კაწვრილი წყლული ხელს უმატა.

მხეცი მეცა, მეცა ფეხი, მან შემომკრა, მე დავეცი,
იმ ლონიერს მე ლაჩარი ბოლოს დროსა გავეექეცი.

რ ე ბ უ ს ი.



ა ხ ს ნ ა.

მეშვიდე ნომრის გამოცანებისა: წისქვილი, სუფრა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ორი ყორანი.

(შოტლანდიის ხალხური ბალადა).

ეუხის ჯაგზე ზის ორი დიდი შავი ყორანი
და ასეთნაირ კითხვას აძლევს ერთი მეორეს:
—დღეს სად ვსადილობთ? ზღვის ნაპირათ, თუ ლ
ევარდ ცის ქვეშ
ნორჩსა ბუჩქნარში, მწვანე ჩრდილში, მწვანე მდელოზე?

—

— აი, გავფრინდეთ, ეზაში ვნახავთ შავ სანახავსა,
ხევს კლდოვანს და გმირს იქ დაგდებულს, უღვთოთ მოკლულსა
სისხლის ღვარი სდის ჭრილობიდან და იმის გვერდით
ვნახავთ მახვილსა ქარქაშიდან ამოღებულსა.
არც არვინ იცის ამ ადგილას იმის სიკვდილი,
მხოლოთ ძაღლს ესმის, მის განუყრელს, იმის ერთგულსა.

—

წარბზე შევაჯდეთ ორივენი უსულო ლეშსა,
ლურჯი თვალები ამოვჭამოთ, ამოვუკორტნოთ,
ხუჭუჭი თმები ამოვგლიჯოთ, კავებათ დავწნათ,
და ძველი ბუდე მიბნეული ამოვიფინოთ,
იმისი ნორჩი წვერებიდან ოქროს ბუმბულის
თბილი საბანი ბარტყებისთვის ამოვაშენოთ.

—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოჰ! ვით შესცივა შავი ხევის უსულო დარაჯს.
გმირს, მოკლებულსა თბილ სამარეს, კუბო სახურავს,
თავქვეშ ბალახით ეკლიანით, ფეხებქვეშ ქვებით,
როს ქარიშხალი, ზამთრის ბუქი წაჰკრავს, წაჰბურავს!
იმის თეთრ ძვლებზე მხეცნი ტყისა ხტომას იწყებენ
და ცის ფრინველნი მას უმღერენ ბედის სამდურავს!

იასამანი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

განთიადი ახალი ცხოვრებისა

ბელვილში.

II

ელვილი იყო საკმაოდ დიდი და ერთი უმშვენიერესი ქალაქთაგანი სამხრეთ გეორგში. ქალაქის შუა იმყოფებოდა სახალხო სამოსამართლოს შენობა. გარშემო კი მწყობრათ გაშენებული იყო ქალაქელ არისტოკრატთა თეთრი სახლები. განაპირა ლბნებში ქა-იქ წამოყუნტულიყო ზანგების ქოხმახები. იქვე იმყოფებოდა შაქრის ქარხნები და ძაფის სართველი ფაბრიკები. ბელვილში ერთი სასტუმრო იყო, რომელსაც მარტო თეთრი ხალხი ეწვეოდა ხოლმე. მას ეჭირა ქალაქის შუა ადგილი, იქ თავს იყრიდენ პლანტატორები. პლანტატორებს ძალიან მომწონებიათ თავი და დიდათა სძულდათ შავ კანიანები. თეთრებსა და შავებს შუა დიდ განსხვავებასა ჰხედავდენ, თეთრებს შეეძლოთ შავ კანიანები „საკუთრებათ" მიეჩნიათ და პირუტყვსავით ემუშავებინათ. ქალაქს გარეთ სამი მშვენიერი პლანტაცია იყო გაშენებული, სადაც შაქრის ლერწამი და ბამბა საყვარლათ გადმოყაჭულიყო. ამ პლანტაციების გვერდით პლანტატორების ულამაზესი შენობები იყო აგებული, რომლებიც დაბურულნი იყვენ დიდრონი ხეებით. სტუმრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისაღებათ ბაღში ცალკე იდგენ სხვა შენობებიც. სტუმრებათ თეთრები მხოლოთ თავიანთ მგზავსებს იღებდენ და ვისაც მონები არა ჰყავდათ, იმათ ღირსათ არა სთვლიდენ და არც მიიღებდენ თავიანთ საზოგადოებაში. ესენი იყვენ ხასიათით ნამდვილი არისტოკრატები! თუმცა თავიანთ თავს რესპუბლიკელებს ეძახდენ, მაგრამ მათ არ ესმოდათ თანასწოროობისა არაფერი.

ქალაქში მიმავალი გზა მიდიოდა მინდვრებს შუა და არ მოიპოვებოდა არც ერთი ხეხილის ხე, გარდა ფორთოხლის პაწია ჭალისა, რომელიც ზანგებს გაეშენებიათ თავიანთ სოფლის მახლობლათ.

ამ სოფელში იქნებოდა ასე ორმოცამდე პაწია შენობები, რომლებიც დაყოფილი იყო ოთხ კუთხეებათ. ყოველ სახლის წინ გაშენებული იყო პაწია ბაღჩები, სოფლის მახლობლათ, გზის პირას იდგა სახლი მისტერ (ბატონ) ტაილგრავისა, რომელიც იყო ერთი მდიდარ პლანტატორთაგანი. სახლი გარედან მთლად დახატული იყო ფერადი წამლებით. მწვანე მოაჯარიანი ქვის დიდრონი კიბეები გადიოდა ბაღში. სახლის გარშემო იდგენ უზარმაზარი ხეები; განსაკუთრებით ოთხი ვეება ქინაქინის ხეებისაგან დაბურული იყო სახლის კარმიდამო. ზაფხულობით ეს ხეები ისხამდენ სოსანის ფრის მშვენიერ სუნნელოვან ყვავილებს, ეხლა კი საცოდავათ გამოიყურებოდენ და ფოთლებ შემოცვინული ტოტებით გულ ჩათხრობილ კაცს წარმოგვიდგენდენ.

ქრისტიშობისთვე იყო. ზამთრის ყვავილებით მშვენივრათ დაბანდულს აივანზე, ნახეკრათ წამოწოლილ სავარძელში გადასვენებულიყვენ ორი ქალი: ერთი მათგანი იყო დიასახლისი, მისტერ ტაილგრავის ცოლი, მეორე მისი თექვსმეტის წლის ლამაზი, გასათხოვარი ქალი. დედაც და შვილიც, მართლაც, მშვენივრება რამ იყვენ. თითო მათგანს გვერდით უდგენ ახალგაზდა გოგო-ზანგები, რომლებიც ფარშავანგის ფრთის მარაოებით აგრილებდენ ქალბატონს და მის ქალს. იქით კი, მინდვრათ, ოფლში მცურავ ზანგებს ხვითქი გადასდიოდათ მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაობით, ბამბასა ჰკრეფდენ და საცხე კალათები მიჰქონდა
საჩეკ მანქანებთან.

ჩრდილო-ამერიკის დედა-ქალაქ ვაშინგტონში უკვე გამოცხადებული იყო მონების განთავისუფლება. მალე ამერიკის კონსტიტუციის მშვენიერმა შემდეგმა სიტყვებმა მოუპოვეს ზანგებს მოქალაქობრივი უფლებები: „ჩვენ ძრიელ ნათლათ ვხედავთ და არც საჭიროა ჭეშმარიტების დასამტკიცებლათ საბუთები, რომ ყველანი თანასწორებათ დაბადებული ვართ; ღვთისგან მონიჭებული აქვთ ყველას შემდეგი უფლებები: სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ მისწრაფება“. მაგრამ სამხრეთ შტატებმა უარჰყვეს ეს ხალხისადმი მოწოდება და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს ჩრდილოელებს, მათი წინამძღოლი ღენერალი ლი, ცდილობდა მოწინააღმდეგეთა ჯარების გარღვევას, რომ ჩდილოელებისათვის წაერთმია საზღვრები და იმით გაეფართოებინა სამხრეთის ადგილ-მამული. უბედურები, ვერ წარმოიდგენდენ, რომ შესაძლო იყო ბედს მათთვის ელალატა და სწადდათ, რომ ომი აუცილებლათ მათ სასარგებლოთ გათავდებოდა.

ამიტომაც მშვენიერი დიასახლისი ასე არხეინათ გადასვენებულიყო საკარძელში და შვილითურთ ნეტარებით სუნთქავდა ყვავილების სურნელოვანით საცხე ჰაერს იმ დროს, როდესაც მათი მონები სიცხეში დაუღალავათ მუშაობდენ. სასტიკი ხედამხედველი კი წამ და უწამ ხან ეროს და ხან მეორეს უტლაშუნებდა შოლტს, თუ მათგანი ვინმე გაჰბედავდა არაქათის მოსაბრუნებლათ პატარა ხნიერ შესვენებას.

უეცრივ გზაზე გამოჩნდა მტვრის ღრუბელი და მოისმა ცხენების ფეხის ხმა და ჭიხვინი. მინდოდათ მომუშავე ზანგებმა კარგათ იცოდენ, რათ წავიდენ დილა ადრიანათ აქედან ეს ვაჟბატონები, ან მათი ულმობელი ბოროტი „ბუკერ“ *). ისინი დაედევნენ იმ „ჭრელას“ **, რომელიც კვირა დილით ლაუბრებოდა მათ მონობის განთავისუფლებაზე და საზოგადოთ

*) ამ სახელით ზანგები ყველა თეორებს იხსენიებდენ.

**) „ჭრელას“ ზანგები ეძახდენ იმ პირებს, რომელნიც სხვა და სხვა ადგილებში დადიოდენ და მონებს უქადაგებდენ თავისუფლებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიურ ჭირ-ვარამზე, მაგრამ ჭრელა ვილაცამ საზიზღრათ გა-
ცა და დაასმინა ულმობელ ბატონებთან. საბრალო დაიჭირეს,
მაგრამ სატუსაღოდან გაექცათ. მართალია იგი გაექცათ,
მაგრამ განა შეიძლებოდა თავის გადარჩენა, როდესაც ასეთი
საზარელი ძალლებით გამოეკიდენ და ფეხდაფეხ ყოველ მხრივ
გზა შეუკრეს?

ყველა მუშა ზანგებმა გზისკენ დაიწყეს ცქერა. უცბათ
მათ თვალი მოჰკრეს თავიანთ ბატონს ტაილგრავს და მის მე-
ზობელ მისტერ ურგუარდს, ერთს უსასტიკეს ბატონთაგანს.
ისინი მოაჭენებდენ ცხენებს, შუაში ჩაეყენებინათ ზურგზე ხე-
ლებ გაკრული, ტანთსაცმელ დაფლეთილი უბედური მულა-
ტი, რომელსაც წამდაუწუმ ზურგზე მათრახს უტყლაშუნებდენ
და ცხენებთან ერთად მოარბენინებდენ. მათთან სხვა ცხენოსან-
თა შორის იყო ბელვილელი ექიმი, ბოროტი გულის და
ჭოლა დაბრეცილი თვალებით. ყველაზე უკან მოდიოდა ძა-
ლლებიხ პატრონი შერარდი. მან დღეს გაიმარჯვა მით, რომ
კაცის სიცოცხლე იყიდა ფულებით და საწამებლათ გადასცა
ჯალათ „მეფის მმართველ ბარონებს“.

ტაილგრავი მეტად კმაყოფილი იყო: მისი მონები ახლა
კარგათ დაინახავდენ, რომ თეთრებს ხუმრობა არ უყვართ; ამ
კაცის დასჯა ყველას ჯკუას ასწავლიდა.

ამ სანახაობას გაფაციცებით თვალს ადევნებდენ აივანზე
მსხდომნი სამნი.-\ დიასახლისის ·ბაწია ქალიც მიმატებოდათ
დედაშვილს და სეირის საყურებლათ გვერდს ამოჯდო-
მოდა მათ.

— დაიჭირეეთ? გადასძახა ქალბატონმა ტაილგრავისამ
თავის ქმარს, როდესაც მან სახლის მახლობლათ ამაყათ გა-
მოაჭენა ცხენი.

— რასაკვირველია,—უპასუხა მხიარულათ და თავმომწო-
ნეთ მხედარმა:—ჩვენ ძალლებს სადღა წაუვიდოდა.

— ბარაქალა!.. ჯან ბიჭო! წამოიძახეს ორივ ქალიშვი-
ლებმა:—რას უზამენ, დედა, იმას?

— რას უზამენ?—გაიმეორა დედამ, რომელსაც თითქოს
არ ესიამოვნა და მეტათაც ჩასთვალა ეს კითხვა: ჩამოახრჩო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენ, სხვა რას უზამენ. უნდა ეს „ნიგგერები“ დავაშვა, რომ კვლავ გაქცევა ალარ გაბედონ.

— ახ, რა კარგი იქნება, რომ ეგეცოროთ! ნეტარებით წარმოთქვა ლიუსიამ, ტაილგრავის უმფროსმა ქალმა: — ნებ მიბოძე, დედილო, ცხენების შეკაზმა ვუბძანო!

— მეც წავალ, დაუმატა უნცროსმა ჯენნიმ.

— ჯერ ჩვენც არ ვიცით, სად ან როდის ჩამოვალ-ჩრობენ. ეს კია, რომ ჯერ-ჯეროობით მას ციხეში ჩააგდებენ. შემდეგ ვკითხოთ მამა თქვენს, ის გვეტყვის დაწვრილებით ყველაფერს და ეტლს მოგვიმზადებენ წასასვლელათ.

ქალაქში მისვლის უმალვე ცხენოსნებმა დაუძახეს ციხის ზე დამხედველს და, როცა გადასცეს ტყვე მულატი, ქალაქის სასტუმროს შეაშურეს. ყველა გრძნობდა, რომ უბედურს დაბრრჩობა არ ასცდებოდა, თუმცა ბრალდებას უმტკიცებდენ მხოლოდ უბრალო ამბის მომტანები. მაგრამ ეხლა—ამ ვაჟბატონებს ყველაფერი შეეძლოთ, რადგან ომიანობის დრო იყო და სამართალს არაფერი გასავალი ჰქონდა, კანონებს მხოლოთ ფორმის გულისთვის სწერდენ და ბრალიანსა და უბრალოს თავიანთ ქეიფზე სჯიდენ: სიკვდილ-სიცოცხლის გადაწყვეტა მათ ხელში იყო.

სასტუმროს თავზე აფრიალებული იყო ამერიკის ყველა შტატების საერთო დროშა. ამ დროშის ქვეშ იბრძოდენ მათი წინაპარნი, ყველანი ერთად, რიცხვით ცამეტ შტატამდე. მაგრამ როდესაც ჩრდილოელ შტატებმა სამხრეთისას ომი გამოუცხადეს, ამათ უარ ჰყვეს ეს დროშა და თავიანთი საკუთარი დროშა ააფრიალეს სასტუმროს შესავალ კართან. ეს იყო სამხრეთელების დ[illegible]ი და შეუწყნარ[illegible]ი შეცდომა და თვით სისულელეც, რადგან ხალხში იმ დროშას, რომელზედაც სამხრეთელებმა უარი სთქვეს, დიდი გავლენა ჰქონდა ხალხზე და ჯარების სულის ჩამდგმელი იყო.

სტუმრები შევიდენ [illegible]ბაზში და პირდაპირ [illegible]ეტისკენ გასწიეს; მათ უკან შერაოდიც მისდევდა. მისი იქ ყოფნა ამაყ პლანტატორებს ბევრათ არაფრად ეპიტნავებოდათ, მაგრამ რას იზამდენ; გარემოებას უნდა დამორჩილებოდენ, ის მათთვინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭირო ადამიანი იყო. შერარდი სარგებლობდა თავისი ძალით და თავი მოჰქონდა, მეც თქვენსავით თავისუფალი მოქალაქე ვარო. მისტერ ტაილგრავმა ველარ მოითმინა, გაიხმო ცალკე და ეუბნათ დააჯილდოვა ნადირობისთვის, იქნებ მალე თავი დაგვანებოსო.

— მეცა და ჩემი ძალლებიც თქვენი სამსახურისათვის მზათა ვართ ყოველთვის, უთხრა ზრდილობიანათ შერარდმა.

— იმედია, მალე აღარ დაგვჭირდებით, — გულ გრილათ უპასუხა მან.

— აბა, რა ვიცით!.. საქმე ცუდათ მიდის: ჩრდილოელნი სულ წინ მოდიან და თუ ღენერალი ლი მათ წინააღმდეგობას არ გაუწევს, მაშინ...

— ღენერალმა თავისი საქმე ჩვენზე უკეთესათ იცის, — ცოტა არ იყოს გაანჩხლებით გააწყვეტინა სიტყვა პლანტატორმა და ამხანაგებს დაუბრუნდა. იქ მათ მიმატებოდათ ორი სხვა უცხო პლანტატორიც, ორი ვექილი — ლესლი და ჯონსონი და გამომძიებელი როჯერი. პლანტატორებმა და აფთექარი ბოლო ნაფიც მოწმებათ მოსულიყვენ. მისტერ ურგუარდმა, როგორც ყველაზე სახელ-განთქმულმა თავისი სისასტიკით, სხდომა გახსნა შემდეგი სიტყვებით:

— ბატონებო, ვერაგი ბონა უკვე ხელში გვყავს. საქმე იმაშია, რომ მას უნდა მონების აღელვება და ჩვენი საცხოვრებლის გადაბუგვა. ეს ფაქტი მნიშვნელოვანია და საქმის დაგვიანება აღარ შეიძლება... მაგრამ ვექილმა ლესლიმ აქ მას სიტყვა შეაწყვეტინა.

— ჩემის აზრით, ჩვენ ნება არა გვაქვს, ეს საქმე აქ გავარჩიოთ. ჩვენ ეს საქმე უნდა სასამართლოში გადავიტანოთ. ასე არ არი, მისტერ როჯერსო?

— დიახ, რასაკვირველია, — ცოტა არ იყოს უგემურათ დაეთანხმა ის. მას ბევრჯერ არაფრად ეპიტნავებოდა სასტუმროდან გასვლა და გემრიელ სადილის დაკარგვა. — მაგრამ... ეხლა ხომ სამხედრო წესებია... განსაკუთრებული გარემოება... კანონი ყველაფრის უფლებას გვაძლევს ჩვენც, ვზრუნავთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ჩვენი ქვეყნის საბედნიეროთ, უნდა მოვიქმედოთ ისე, რაც
გორც გარემოება გვიჩვენებს...

ამ დროს შემოვიდა უფროსი აფიცერი, მისტერ ბომინ
და, რა შეავლო თვალი იქ მყოფთ, წარმოთქვა:

— იცით რა, ბატონებო, მე ეს არის ეხლა გავიგე ჩრდი-
ლოეთიდან მოსული ჩემი ნაცნობისაგან, რომ ჩვენ გვიახლოვ-
დება ღენერალი შერმანი თავის ჯარით.

— სისულელეა, — გადიხარხარა ურგუარდმა: ზღაპარი
არის... ის დიდი ხანია ცდილობს სამსახურის მიტოვებას,
უნდა როგორმე თავი დაახწიოს ჩვენ ეთან ბრძოლას. აბა,
მითხარით, როგორ გაჰბედავდა ის სამხრეთისკენ გამოლაშქრე-
ბას?

— ნუ დაივიწყებთ, რომ ღენერალი შერმანი ფრიად სა-
შიში მტერია, არწმუნებდა მისტერ ბომინი; — ჩვენ არ შეგ-
ვიძლია მასთან შებრძოლება, რადგან ჯარი აღარა გვყავს...

— ე, სისულელეა! — შეაწყვეტინა თავის მხრივ აფთია-
ქარმაც. ღენერალ შერმანზე დიდი ხანია ბევრ ხმა მისწყდა, ის
უეჭველად სადმე დაიღუპებოდა. ყველა გაზეთები კითხულო-
ბენ, სად დაიკარგაო! მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ცნო-
ბები მალე მოგვივა მის დამარცხებაზე და დატყვევებაზე ჩვენ
ჯარისაგან.

— ეგ მართლა სასურველი ამბავი ყოფილიყოდა, რასაკვირველია,
— შენიშნა ღესლიმ. — ის საუკეთესო მებრძოლია, თავის სიცო-
ხლეს არ ზოგავს... ჩვენ კი ნაკლებათა გვყვანან ასეთი მე-
ბრძოლანი და ამიტომ მოსალოდნელია რომ დავმარცხდეთ.

— დაანებეთ თავი ამ ლაპარაკს, — გააწყვეტინა სიტყვა
მოთმინებიდან გამოსულმა ტაილგრავმა, — ჩვენ თვითონ არ უნ-
და გავავრცელოთ ასეთი ხმები, უფლებები თუ გვინდა რომ
შევირჩინოთ. ზანგები სულაც არ არიან დარწმუნებულნი,
რომ ჩრდილოელნი გაიმარჯვებენ და ჩვენ ასეთი უნდა ვისარ-
გებლოთ.

— რა ზანგები, რის ზანგები, — შენიშნა აფიცერმა: მათ
ხომ იარაღი ალბა აქვთ, უიარაღოთ რას გააწყობენ, რისა უნ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გვეშინოდეს, ისინი ისე შეიმუსრებიან ჩვენი მახვილით, როგორც ტარბისაგან კალია.

— ეგრა, გმადლობ მაგ გვარი ნუგეშისთვის, — შეაწყვეტინა სიტყვა გაჯავრებით ტაილგრავმა მე ჩემი მონები 1400 დოლარათ მიღირან. მაშინ სულ გავლარიბდები, სჯობია სათავეშივე უშველოთ საქმეს, ჩავაქროთ ყოველივე აჯანყება. ამიტომ საჭიროა, გილსი, აგონია ასე ჰქვიან იმ ჰარამზადას, საქვეყნოთ ჩამოვახრჩოთ, რომ ყველამ თვალით დაინახოს ჩვენი ძლიერება.

გაჩაღდა ჩხუბი. ლესლი სამართალს კანონის ძალით თხოულობდა, პლანტატორები ეწინააღმდეგებოდენ, მსაჯული გამოურკვეველი მდგომარეობაში ჩავარდა და ბოლოს გადასწყვიტეს მოეყვანათ ამბის მიმტანი — ჯაშუში და ბრალდებულიც. პლანტატორებმა ეხლა კი ამოისუნთქეს და ბუფეტთან მივიდენ მადის დასაკმაყოფილებლათ.

მათი სულის მდგომარეობა შეაშფოთა ტაილგრავის უფროს მსახურის უეცრივ შემოსვლამ, რომელიც ქუდ მოუხდელი, შოლტით ხელში, შემოიჭრა მათთან.

— აა, მისტერ გალლ! — წამოიძახა პლანტატორმა, რომელიც გაკვირვებით უყურებდა თავის მსახურის ასეთ ქცევას. — რა ამბავია თქვენ თავს? თქვენ ქუდის მოხდა დაგავიწყდათ?

— მაპატივეთ, მისტერ ტაილგრავ, — უთხრა გალლმა და მოიშვლიპა საჩქაროთ ქუდი; — მე მინდა გაგაფთხილოთ: აქ იანკები არიან...

— იანკები! თქვენ ჰბოდავთ!.. რა მოხდა? ვინ დაინახეთ?..

— იანკები, — გულგრილათ უპასუხა გალლმა, — ანუ ჩრდილოელების ჯარის კაცები, ე. ი. ლენერალი შერმანის მოწინავე რაზმები.

— სისულელეა! — უკმაყოფილოთ შენიშნა მისმა ბატონმა; — რას მიჰქარავთ... თქვენ ალბათ გამოქცეული ჯარისკაცები დაგინახავთ და ჩვენ მტრათ მოგჩვენებიათ.

გალლმა შეხედა თავის ბატონს ბოროტის თვალით: მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგათ ესმოდა, რომ მისი ბატონის თვალთმაქცობას ბოლო მოელო და ამიტომ აღარ ერიდებოდა ლაპარაკში.

— გიმეორებთ, რომ თქვენ პლანტაციის გვერდით სამოცი ცხენოსანი კაცი დგას. მე მათ დანახვაზე ელდა მეცა და პირდაპირ აქ გამოვექანე, რომ გამეფთხილებინეთ.

— სადა ნახეთ ცხენოსნები? — ცოტა არ იყვეს შიშის ჟრუანტელმა გაურბინა ბატონს.

— თქვენ სახლთან... ისინი თქვენ ქალებთან ლაპარაკობენ. შენმა მონებმა კი დაანებეს მუშაობას თავი და გაიქცენ.

ამ უკანასკნელმა სიტყვებმა ყველანი შეაძრწუნა. ამაო პლანტატორებს არ უნდოდათ დაეჯერებინათ, რომ ჩვენ ილოელებს შეეძლო მათი დამარცხება. და თუ მტრის ჯარისკაცები მათ სამფლობელოში შემოვიდენ, ახლა კი უბედური დღეები მალე გაუთენდებათ. ამ ამბავმ მოჰყვებოდა ზანგების აღელვება და ვინ იცის რა მოხდებოდა და რა არა. შერაოდიტ ტყუილათ კი არ შეაფთხო ამ ამბავმა. მან კარგათ იცოდა, რომ ზანგები მას არ აპატიებდენ მის ველურ საქციელს, მათზე ნადირობას. გულ-გახეთქილი პლანტატორები ეხლა კი შეფრთხენ და მიიფანტ-მოიფანტენ, რომ დანამდვილებით გაეგოთ საქმე რაში იყო.

ნატალია კასრაძე.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცრემლებით ალესილი სურო

ბეშვაინის ზღაპარი.

(გერმანულით)

ყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რაღა იქნებოდა. იყო ერთი დედა და შვილი. დედას გაგიჟებით უყვარდა თავისი პირმშო შვილი. უყვარდა და მერე როგორ! უიმისოთ სიცოცხლეც შეუძლებლათ მიაჩნდა. გამოუთქველი იყო დედა-შვილის სიყვარული.

სოფლათ ბავშვების ავადმყოფობა გაჩნდა. ვისაც კი შეეყრებოდა ეს სენი, ყველას სიცოცხლეს ასალმებდა. საბრალო მშობლები მწუხარებით შეჰყურებდენ თავის შვილების უკანასკნელს სულის ამოსვლას ლა ნაღვლიანათ ქვითინებდენ და ქვითინებდენ.

სამი დღისა და ღამის განმავლობაში საბრალო დედის თვალთ ძილი არ მიჰკარებია. ის გულ-ამოსკვნით ტიროდა და მხურვალეთ ავედრებდა უფალს თავის პირმშოს. საბრალო დედის ლოცვამ არ გასჭრა. შეუბრალებელმა სენმა ყმაწვილი უდროოდ გამოასალმა წუთისოფელს.

დარჩა მთელს დედა-მიწის ზურგზედ სრულიად მარტოთმარტო უნუგეშო დედა. უსაზღვრო მწუხარება გულს ლოდივით აწვა. საბრალო არც სვამდა, არც სჭამდა და განუწყვეტლივ ქვითინებდა და ქვითინებდა. გულსაკლავი იყო დედის მწუხარება.

ერთს საღამოს თვალცრემლიანი დედა ახლად გარდაცვალებულის შვილის სარეცელზედ იჯდა და გონება მიხდილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვეულებრივ მდულარე ცრემლებს აფრქვევდა. ამ დროს ოთახის კარები წყნარათ გაიღო. საბრალო დედამ უეცრივ საზარლათ შეჰკივლა. შეშინებულის დედის წინ შეწუხებულის სახით იდგა ახლად გარდაცვალებული შვილი და ხელთ ეპყრა პირამდის წმინდა ცრემლებით აღვსილი ლამაზი, კოპწია, თიხის სურა.

„დედი! დედი!“ წყნარის, მაგრამ განუსაზღვრელის სიყვარულის კილოთი შესთხოვა შვილმა თავის საყვარელს დედას: „ჩემო საყვარელო დედიკო! ნუ სტირი, ნუ სტირი ამდენს, ჩემო კარგო! ხედავ ამ თიხის ჭურჭელს, როგორ აღვსილია შენგან დაღვრილი მდულარე ცრემლებით. მწუხარების ანგელოზმა ეს გულწრფელი ცრემლები ამ კოპწია თიხის სურაში მოაგროვა. დედიკო, ჩემო ტკბილო დედავ! თუ კიდევ ერთ ცვარ ცრემლსაც გადმოაფრქვევ, ამ თიხის სურას პირს გადადინდება და მაშინ მე საფლავში მყუდროებას დავკარგავ და ცაში კი ნეტარებას, ამიტომ, გვედრებ, ჩემო ტკბილო დედავ, ნუ სტირი აწ შენის უდროოთ დაკარგულის შვილისათვის. შენი პირმშო შვილი საიქიოს კარგად მოეწყო, იგი ბედნიერია, მას ანგელოზები გარს ახვევიან და მეგობრობას უწევენ. გვედრებ, გვედრებ, ჩემო ტკბილო დედავ, შეისმინე შენი შვილის ვედრება!“

ამ სიტყვებთან ერთად დედას შვილი დაუყონებლივ განშორდა. საბრალო დედას ამიერიდან ერთი ცვარი ცრემლიც არ გადმოუფრქვამ თვალთაგან. დედას კარგათ ახსოვდა თავისი საყვარელი შვილის ვედრება და ამიტომაც მუდამ ეამცდილობდა არ დაერღვია უდროოთ გარდაცვალებულისათვის საფლავში მყუდროება და ცაში კი ნეტარება.

ა. ეუმისთაველი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლაიბების მეგობრები

IV



ოგორც დავინახეთ, ხალხის საუკეთესო შვილები ხალხის კეთილდღეობას თავსა სწირავდენ, მაგრამ ხალხს მაინც სიღატაკესა და მონობაში ამოსდიოდა სული, ქვეყნის სიმდიდრეს და ავლადიდებას ერთი მუჭა მუქთახორები შეექცეოდენ. მიწა იყო თავადაზნაურობის ხელში, ფული ბანკირების ჯიბეში, ძალა და უფლება ბიუროკრატების ხელში, ხალხს კი კისერზე ადგა მწარე შრომის მძიმე უღელი. შრომის ნაყოფი რომ ხალხისა ჰყოფილიყო, მაშინ ხომ ამგვარი შრომაც ტკბილი იქნებოდ, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ქვეყნის ნაშრომს მთავრობა, თავადაზნაურობა, სამღვდელოება და ბანკირები ჰყლაპავდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთვრამეტე საუკუნის გასულამდე საქონლის წარმოება დამყარებული იყო ხელსაქმობაზე. მუშები თავის ხელით არ თავდენ, ჰქსოვდენ, აკეთებდენ ბამბისა და მატყლისაგან სხვა და სხვა მატერიებს და სხვ. ისეთი მანქანები, როგორიც დღე არის, ფაბრიკები — მაშინ არ არსებობდენ. ამგვარ პირობებში მუშა ხალხი თუმცა დიდ ქირას არ იღებდა, მაგრამ სამუშაო ყველასა ჰქონდა, უსაქმოთ არავინა რჩებოდა და ლუკმა პური ყველა სჭამდა. მეთვრამეტე საუკუნის გასულს გამოიგონეს სართავი მანქანა, შემდეგ საქსოვი მანქანა, მანქანის ასატრიალებლათ საკმარისი იყო ერთი მუშა და ეს ერთი მუშა ამ მანქანაზე ერთი საათის განმავლობაში ათამდა იმდენს, რამ დენსაც წინეთ რამოდენიმე ასი კაცი უნდებოდა. ამას მოჰყვა ალე ორთქლის მანქანების გამოგონება და ნელა ნელა გაჩნდენ დიდი ფაბრიკები. წარმოება საშინლათ გართულდა, ბაზარი ყველგან სხვა და სხვა საქონლით აივსო; ფაბრიკის პატრონებმა მილიონებს დაუწყეს ტრიალი. ალბათ მუშა ხალხი მდგომარეობაც გაუმჯობესდებოდა, იფიქრებს მკითხველი. რა პასუხია! რაც უფრო ვითარდებოდა წარმოება და მდიდრდებოდენ კაპიტალისტები, მუშა ხალხის მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. მუშებს ამუშავებდენ სულ ხშირათ თექვსმეტ საათს დღედა ღამეში, მამასთან ერთათ მუშაობდენ ქალი და რვა წლის ბავშვები თორმეტ-თორმეტი საათი დღე და ღამეში; მათთან ერთათ მუშაობდა დედაც, — ერთის სიტყვით მთელი ოჯახი ოფლში იწურებოდა შრომით და კვლავ ყველაზედ მშრალი პური ძლივსა ჰყოფნიდათ. მუშები, პატარა ბავშვები აუტანელის შრომით სნეულდებოდენ და იხოცებოდენ; კაპიტალისტები კი თავის შვილებს ხავერდებში რა დენ! აქა-იქ სხვა და სხვა პირებმა ხმა აიმაღლეს მუშების დასაცველათ. ამ გვარ პირთა შორის საუკეთესონი იყვენ მეთხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში სენ სიმონი, ფურიე და რობერტ ოვენი თავისი აზრებით და ოგიუსტ ბლანკი თავისი მოქმედებით.

სენ სიმონი დაიბადა საფრანგეთში 1760 წ. ჩამომავლობით ის უდრიდა ჩვენებურს თავადიშვილს. პატარა სენსიმონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალიან მტკიცე ხასიათის ბავშვი იყო. ერთხელ ის ძალლმა დაჰკბინა. პატარა სენ სიმონმა, რომელიც ამ დროს თორმეტის წლისა იყო, გაახურა რკინა და დაკბენილი ალაგი თავისი ხელით დაიწვა. შემდეგ გაუტენა რევოლვერი და ჩაიდვა ჯიბეში იმ განზრახვით, რომ თავი მოეკლა, თუკი ავათმყოფობა გამოაჩნდებოდა. ერთხელ მას მამამ უთხრა: საზიარებლათ მოემზადეო. პატარა სენ სიმონმა უპასუხა: ზიარება არა მრწამს, არც ვეზიარები და არც მოვემზადებიო. მამა ძალიან გაუწყრა, დასტუქსა, დასაჯა, მაგრამ სენსიმონმა მაინც თავისი გაიტანა. სწავლის დამთავრების შემდეგ სენ სიმონი სამხედრო სამსახურში შევიდა და სულ მალე ისე დაწინაურდა, რომ ოც და ოთხის წლისა უკვე პოლკოვნიკი იყო, მაგრამ სამხედრო სამსახური მას არ მოეწონა, დაანება თავი და დაიწყო ევროპაში მოგზაურობა. ამ მოგზაურობის დროს ის სწავლობდა სხვადასხვა მეცნიერებას. როდესაც საფრანგეთში 1789 წ. დიდი რევოლიუცია დაიწყო, სენ სიმონმა სამშობლოში მოაშურა, აგიტაცია გამართა გლეხებში, უქადაგებდა მათ, თუ როგორ უნდა ებრძოლათ, რა უნდა მოეთხოვათ, როგორი თავისუფლება უნდა მოეპოებიათ და სხვა. სენ სიმონმა პირველმა მოითხოვა: წოდებები უნდა გაუქმდეს, თავადი, აზნაური და გლეხი ყველა უნდა გასწორდეს და ყველას უნდა დაეერქვას მოქალაქეო. თავადობაზე მან პირველმა აილო ხელი და გახდა უბრალო მოქალაქეთ. სენ სიმონს საკმაო შეძლება ჰქონდა, მაგრამ უზომო ხარჯი იკოდა და თავისი გულკეთილობის გამო ყველას ეხმარებოდა, არავის არასფერს უკავებდა. ნათქვამია, „ხლვა კოვზით დაილიაო". რამდენათ მართალია ეს, არ ვიცი, ხოლო სენ სიმონის ქონება მალე დაილია. გალატაკდა თუ არა სენ სიმონი, მეგობრებიც მალე შემოეცალენ; ქუჩაში, რომ შეხვდებოდენ, თვალს აარიდებდენ.

სენ სიმონი შევიდა ერთ დაწესებულებაში, საცა ანგარიშის ქალალდების გადაწერაში თვეში სამ თუმანს აძლევდენ. ამ მდგომარეობაში გაატარა სენ სიმონმა რამოდენიმე თვე, როდესაც მას შეხვდა ერთი ძველი მეგობარი დიარი. დიარმა წაიყვანა სენსიმონი თავის სახლში, დაუთმო მას რამოდენიმე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთახი და უთხრა: შენ ოლონდ სწერე და მე ყოველგვარ დ
ხმარებას აღმოგიჩენო. სენ სიმონმა დასწერა და გამოსცა რა
მოდენიმე სამეცნიერო წიგნი. მას ამ დროს ძალიან დიდი ცო
ნა ჰქონდა და მთელი მეცნიერების გარდაქმნას აპირებდა
მაგრამ დიაღი რამოდენიმე წლის შემდეგ გარდაიცვალა დ
სენ სიმონი ისევ ღვთის ანაბარად დარჩა. სენ სიმონს არც სიმდ
დრე უკვირდა, არც სიღარიბე. მან იქირავა პატარა ოთახ
და განაგრძო წერა. გამოსცა კიდევ რამოდენიმე წიგნი, მაგ
რამ წიგნები ცოტა იყიდებოდა, შემოსავალი სენ სიმონს არ
ჰქონდა და ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ ხშირათ ორ
სამი დღე პურიც კი არა ჰქონდა ხოლმე და ცალიერ წყალ
შეექცეოდა! სენ სიმონი გულს არ იტეხდა და დაუსვენებლათ
სწერდა; ბოლოს საწერი ქაღალდი და მელანიც გამოელია;
ამან კი ძალიან შეაწუხა. მან გაჰყიდა თავისი ტანისამოსი.
იყიდა ქაღალდი და განაგრძო წერა. თავისი ნაწერების გამო
საცემი ფული რომ არა ჰქონდა, სენ სიმონი ხელთნაწერებს
უგზავნიდა სწავლულებსა და გამოჩენილ პირებს და თან დახ
მარებასა სთხოვდა, მაგრამ დახმარების მაგივრ იმას დასცინ
დენ და გადარეულათა სთვლიდენ. მშრალი მეცნიერული წიგ
ნების წერას სენ სიმონმა დაანება თავი, ყოველ დღიურ ცხო
რებას დაუბრუნდა და მთელი თავისი ყურადღება საზოგადო
კითხვებს მიაქცია. სენსიმონმა დაუწყო კიცხვა მთავრობას
თავადაზნაურობას და მთელ მაშინდელ ბიუროკრატიულ წყო
ბილ[illegible]ალი არის მშრომელ ხალხისა—მწარმოებლებისა
თავად-აზნაურობა დღეს, მეტხოროცია და ცხოვრების სათავეში
მწარმოებლები უნდა ჩად[illegible], ამტკიცებდა სენ-სიმონი. თუმ
ცა თავად-აზნაურობა სენ სიმონს [illegible]ლიან გ[illegible]ალმტერა, მაგრამ
ბ[illegible]ურჟუაზია სენ სიმონს მიემხრო. სენ სიმონს ყველგან გაუვარდ
სახელი და იმის ნაწერებს და იმის ჟურნალს ბევრი ხელის
მომწერლები გამოუჩნდა

ეს იყო ის დრო, როდესაც მსხვილი წარმოება იზრდ
ბოდა, კ[illegible]ალისტები სწრაფათ მდიდრდებოდენ, მუშა ხ
ხის მდგომარეობა კი უკან და უკან მიდიოდა. სენსიმონმა თავ
სი მწერლობის საგნათ მუშა ხალხის მდგომარეობა გაიხად

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გამოაცხადა: საზოგადოებრივი ცხოვრება ისე კარგად
იყოს მოწყობილი, რომ ვინცა შრომობს, იმას ყველაფერი
აკლდეს და, ვინც არასფერს არ აკეთებს, ის ფუფუნებაში იმ-
ყოფებოდეს, არამედ ისე, რომ მშიერი და ღარიბი არავინ
არ იყოს და რიგიანი ცხოვრება ყველას უზრუნველყოფილი
ჰქონდესო. მან მოითხოვა მუშა ხალხისათვის პენსიის დაარ-
სება, კარგი სადგომების აშენება, ქირის მომატება, სამუშაო
დროს შემოკლება და სხვ. ღარიბების გამოსარჩლებით სენ სი-
მონმა მდიდრები გადიმტერა; კაპიტალისტებმა ისე შეჰკრეს
ერთმანეთში პირობა, რომ არც ერთი მათგანი სენ სიმონის
ჟურნალს აღარ იწერდა; მუშა ხალხი იმდენათ ღატაკი იყო,
რომ რედაქციას ის ვერ შეინახავდა თავისი ჯიბით. სენ სიმონი
ისევ სიღარიბეში ჩავარდა. კაპიტალისტებმა ეს არ აკმარეს
სენსიმონს. ხმა დააორხიეს ყველგან: სენ სიმონი გადარეულია,
მამულის დაღუპვა უნდოდა და იმისი ლანძღვის მეტს აღარას
აკეთებდენ. სენ სიმონი სულით არ დაეცა, მან ქედი არ მოი-
ხარა ფულით გატენილი ტომრების წინაშე არ შეეეფერა მათ:
მაპატიეთ, შეეცდიო. კაპიტალისტები კი სწორეთ ამას ელო-
დენ. ისინი ყოველისფერს აპატიებდენ სენ სიმონს და ისევ
გაუხსნიდენ მას თავის ჯიბეს, თუკი ის ქვეყნის მარილათ
ბურჟუაზიას გამოაცხადებდა. სენ სიმონი შეურყეველათ განაგრ-
ძობდა კაპიტალისტების მხილებას და ღარიბების დაცვას. სი-
ღარიბემ ის სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა, მაგრამ მისმა ქა-
დაგებამ ნაყოფი გამოიღო; მას თანამგრძნობი გამოუჩნდენ გა-
ნათლებულ ახალგაზრდობაში; ამოუდგენ მას გვერდში, დაეხ-
მარენ მას ქონებრივათ, დააარსეს ჟურნალი და მასთან ერ-
თათ დაიწყეს მისი აზრების გავრცელება საზოგადოებაში.

რაც დრო გადიოდა, სენსიმონის თანამოაზრეთა რიცხვი
თანდათან მრავლდებოდა. ბოლოს სენსიმონის სახელი მთელს
ევროპაში გავრცელდა და მისმა აზრებმა საზოგადოების განა-
თლებულ ნაწილში დიდი მოძრაობა გამოიწვია. სენ სიმონი
სრული კმაყოფილი იყო. მას უნდოდა ახლა მუშათა პარტიის
დაარსება, მაგრამ სიკვდილმა აღარ აცალა: ის გარდაიცვალა
1827 წელს, სიკვდილის წინ მან უანდერძა თავის მოწაფეებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი სიკოცხლე მუშა ხალხის ბედის გაუმჯობესებას შესწირეთ.

არსებული საზოგადოებრივი წყობილება, საცა გაბატონებული იყო თავად-აზნაურობა და ბიუროკრატია, სენ სიმონი არ მოსწონდა. სენ სიმონის აზრით ბიუროკრატიამ ილაგი უნდა დაუთმოს მეცნიერებსა და ნასწავლ კაცებს; თავად-აზნაურობამ კი ნაკლებ ველებს. მრეწველებათ ის სთვლიდა ძლ ... ხალხ და მშრომელ ბურჟუაზიას. რაკი მთავრობის სათავეში ნასწავლები და მეცნიერები ჩადგებიან, ისინი სამართლიანობას დაიცავენ და თანასწორობას დაამყარებენ, მრეწველები კიდევ ცხოვრებას განავითარებენ, სიმდიდრე დაგროვდება, სილარიბე მოისპობა და ყოველი ადამიანის ცხოვრება თანასწორობისა და საერთო კეთილდღეობის საფუძველზე დამყარდება სენ სიმონის აზრით. სენ სიმონი ამტკიცებდა, რომ ცხოვრების ამგვარათ გარდაქმნისათვის ბრძოლა კი არ იყო საჭირო, არამედ ოდნისა და ჭეშმარიტი აზრის გავრცელება. ადაგება. რაკი ყველა შეიგნებდა, თუ რაში გამოიხატება საერთო კეთილდღეობა და რანაირათ შეიძლება მისი განხორციელება, წინააღმდეგი არავინ არ იქნებაო, ამტკიცებდა სენ სიმონი. ... ერმათ დარწმუნებული იყო, რომ ცხოვრების გარდაქმნა ... ყველას საკეთილდღეოთ არა თ ... მარტო ბიუროკრატები და მდიდრები, თვითონ მთავრობა და მეფეებიც სულითა და გულით მოინდომებდენ, და ამიტომ სენ სიმონი წერილებსა სწერ და საფრანგეთის მეფეს და ურჩევდა: შენი საკუთარი ინტერესი ხალხის ინტერესებს უნდა ანაცვალოვო.

როგორც უკვე მოვიხსენიეთ, სენ სიმონის აზრებმა საზოგადოებაში დიდი მოძრაობა გამოიწვიეს წარსული საუკუნის პირველ ნახევარში. მაგრამ სენ სიმონის აზრები იმდენათ მუშა ხალხში არ გავრცელებულა, როგორც ინტელიგენციაში. სენ სიმონის სიკვდილის შემდეგ შესდგა მთელი პარტია სენ სიმონისტების, რომელთა მიზანიც იყო კერძო საკუთრების გაუქმება და მიწის, კაპიტალის, ფაბრიკების და სხვ. საერთო, საზოგადო საკუთრებათ გადაქცევა. მათის მოძღვრებით ეშრომელათ არავინ არ უნდა სცხოვრებდეს, ყველა უნდა შრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible]ილი საზოგადოებისათვის და ყოველ ადამიანს უფ[illegible] [illegible] შრომისა და ნიჭის კეთილობაზედ. სენ სიმონის [illegible]ტიაში მდიდრებიც შევიდენ და შესწირეს ფული, რომ ამით ცხოვრების გარდაქმნისათვის [illegible]ული შეეწყოთ, მაგრამ საერთოთ კაპიტალისტებსა და მთავრობას არავითარი სურვილი არა ჰქონდათ, სენ სიმონს აჰყოლოდენ და თავის ქონებაზე და უფლებებზე ხელი აეღოთ ხალხის კეთილდღეობის გულისათვის. ინტელიგენტებშიც დროებითმა გატაცებამ მალე გაიარა და ბოლოს სენ სიმონის პარტია სულ დაიშალა, მაგრამ ამ დროს საფრანგეთში გაძლიერდა ფურიეს მოძღვრება.

V

ფურიე იყო სენ სიმონის თანამედროვე და თანამემამულე. ის იყო ლარიბი დედმამის შვილი და მისი ცხოვრების გზა გაცილებით უფრო მარტივი და უბრალო იყო სენ სიმონის ცხოვრებასთან შედარებით. ფურიე დაიბადა 1772 წელს. იმის დედმაძას იმდენი შეძლება არა ჰქონდა, რომ შვილისათვის რიგიანი განათლება მიეცათ და ამიტომ, გაათავა თუარა ფურიემ პირველ დაწყებითი სასწავლებელი, დუქანში მიაბარეს. უქნიდან ის გადავიდა მალაზიაში ნოქრათ. ფურიე მეტათ ნიჭიერი ახალგაზრდა იყო და თავისი ხელობით ის არ კმაყოფილდებოდა: თავისუფალ დროს სულ მეცნიერული წიგნების კითხვას ანდომებდა და მალე საფუძვლიანი ცოდნა შეიძინა. მაშინ თავის ხელობას თავი მიანება, მწერლობას მოჰკიდა ხელი და თავის [illegible]ათ დაისახა ცხოვრების ისე გარდაქმნა, რომ ქვეყანაზე საერთო კეთილდღეობა და თანასწორობა გამეფებულიყო. ფურიეს აზრით საზოგადოებრივი ცხოვრების ერთათერთი მიზანი არის ადამიანის ბედნიერება- ბედნიერებისათვის საჭიროა, რომ ადამიანს შეეძლოს ყველა თავისი მოთხოვნილების დაკმაყოფილება; ამისათვის კი საჭიროა ქონება, სიმდიდრე. ფურიეს აზრით დღეს საზოგადოებაში უმრავლესობა ღატაკია და ამიტომ საერთო მეცნიერებაც არ არსებობს. ისეთი წყობილება, რომელიც მხოლოთ ლარიბების რიცხვს ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფურიე.

რავლებს, ესათუოთ უნდა მოისპოს და მის ალაგას დაარსდეს ისეთი ცხოვრება, საცა სილარიბეს ალაგი არ ექნება. ფურიეს ახალს წყობილებაში ყოველი ოთხასი ოჯახი წარმოადგენს ერთ კრებულს ანუ ფალანგას, როგორც ფურიე უძახის. ფალანგასა აქვს საერთო მიწა, საერთო იარაღები წარმოებისათვის და საერთო სადგომი, რასაც ფურიე უწოდებს ფალანსტერს. ფალანსტერში მოთავსებულია საერთო მეურნეობა და საერთო მრეწველობა. ფალანსტერში შრომა სავალდებულოა ყველასათვის, მაგრამ ყოველი ადამიანი აკეთებს მხოლოთ საქმეს, რომელიც მას მოსწონს. ამიტომ შრომა იქ სასიამოვნოა, ყველა ხალისიანათ მუშაობს და ბევრსაც აკეთებს. ფალანსტერში ხმარობენ ყოველგვარ მანქანებს და ამის წყალობით არავითარი შრომა არ არის იქ არავისათვის საძძიმო. მეურნეობაშიც შრომა მანქანებზეა დამყარებული და ამიტომ მიწა დიდ მოსავალს იძლევა. ფალანსტერის გარშემო არის ბაღები და ყანები, შემდეგ იწყება ფაბრიკები და ბოლოს თვითონ ფალანსტერი, რომელიც წარმოადგენს დიდსა და საუცხოვოთ მორთულ სადგომს, საცა ოთხასი ოჯახი ეტევა. ყოველ ოჯახს აქვს თავისი საკუთარი სადგომი. ფალანსტერში არის აგრეთვე თეატრი, ეკლესია და დიდი საზოგადო დარბაზები, საცა იმართება კრებები, გამოფენა, საღამოები და სხვ. ფალანსტერში მზადდება საერთო სადილ-ვახშამი, მაგრამ ყოველ ოჯახს უფლება აქვს, თუკი უნდა თავისთვინ თვითონ მოიმზადოს სადილიც და ვახშამიც. ამგვარათ ფალანსტერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგი მეურნეობაშია ჩაბმული, ზოგი მრეწველობაში. საქონელი გროვდება საერთო საწყობებში და აქედან ურიგდება ფალანსტერის მცხოვრებლებს მათი საჭიროების კვალობაზე. დანარჩენს ჰყიდიან სხვა ფალანსტერებში. თავისუფალ დროს იკრიბებიან საზოგადო დარბაზებში და აქ ატარებენ დროს. რადგანაც ფალანსტერის ასაშენებლათა და მოსაწყობათ ფული საჭირო, ამიტომ ფურიეს აზრით ეს საქმე უნდა ითაონ კაპიტალისტებმა, მათ თავისი ფულით უნდა ააგონ და მოაწყონ ფალანსტერები. თავის ფულში კაპიტალისტები მიიღებენ სარგებელს. რა ნაირათ? აი რანაირათ: ფურიეს აზრით — ფალანსტერის მთელი შ. ..ასავალი უნდა გაიყოს თორმეტ ნაწილათ. აქედან ხუთი ნაწილი ეძლევა ყველა მშრომელებს, ოთხი კაპიტალისტებს დახარჯული ფულის სარგებელში და სამი ნაწილიც იმ ნიჭიერ პირებს, რომლებიც მეცნიერებას ან ხელოვნებას განავითარებენ.

ფურიეს აზრით, როდესაც მთელი დედა-მიწა ფალანსტერებით მოიფინება, ხალხის სილატაკეს ბოლო მოელება და მაშინ ქვეყანაზე კეთილდღეობა დამყარდება. ფურიე (არწმუნებული იყო, რომ საკმარისია ერთათ-ერთი ფალანსტერის აშენება. როდესაც ამ ფალანსტერში წარმოება გაჩაღდებოდა, მისი საერთო სარგებლობა ყველასათვის იმდენათ ცხადი და თვალსაჩინო შეიქნებოდა, რომ მთავრობა და კაპიტალისტები ერთხმათ მოინდომებდენ იმდენი ფალანსტერის აშენებას, რამდენიც საჭირო იქნებოდა სხვადასხვა სახელმწიფოში. ერთი ფალანსტერისათვის კი ფურიეს აზრით საჭიროა მხოლოთ ერთი მილიონი. მილიონს კი შოვნა არ უნდა? ქუჩაში ხომ არა გდია? ასეთი სასარგებლო საქმისათვის მილიონის შოვნა მეტათ ადვილი საქმეაო, ჰფიქრობდა ფურიე. მან მიმართა კაპიტალისტებს, შეატყობინა, შუადღიდან პირველ საათამდე სახლში ვარო, და სრულიდ დარწმუნებული იყო, რომ მილიონერები კარებზე მოადგებოდენ. ფურიე ამასაც კი ჰფიქრობდა: მე ერთი მილიონი მჭირდება მარტო და რამოდენიმე მილიონერი ერთათ რომ მოვიდეს, ერთს რომ გამოვართვა მარტო, ვაი თუ დანარჩენებს, გული დაწყდესო. ფურიე ყოველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღე თორმეტი საათიდან პირველ საათამდე სახლში იჯდა და მილიონერებს უცდიდა. გაიარა ერთმა წელიწადმა, ორმა, სამმა, ოთხმა, ხუთმა, ექვსმა, მაგრამ კაპიტალისტები ყურსაც არ აპარტყუნებდენ, ზანდუკებს მაგრათ სტენიდენ ფულებით და ფურიეს კი დასცინოდენ: სწორეთ გადარეულია, რომ ამისთანა სისულელეებსა ჩმახავს და ჩვენი გაბრიყვებაც უნდაო.

თუმცა ფურიემ თავისი მიზანი ვერ განახორციელა და ფალანსტერები ვერ დააარსა, მაგრამ მისი მოძღვრება ძალიან გავრცელდა მუშა ხალხში და ის ბრძოლის ველზე გამოიყვანა. ამ დღიდან მუშა ხალხი თან და თან ჩაუკვირდა თავის მდგომარეობას, დარწმუნდა, რომ უბრძოლველათ ის თავის ცხოვრებას წინ ვერ წასწევს და დღეს გაერთიანებული მუშა ხალხი მთელს ევროპაში იბრძვის და არსებული ცხოვრების ძირიანად გარდაქმნას ეპირება. მუშა ხალხის გამოუხიზლებაში და გაცნობიერებაში ფურიეს დიდი ღვაწლი მიუძღვის.

ივ. გომართელი.

(შემდეგი იქნება)



ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიიდან.

პირველი წერილი. მშრომელი ხალხის ისტორია.

(გაგრძელება).

III. მსუქნები და გამხდრები.



ვენ უკვე ეიცით, რომ პირველნდელი საგვაროვნო კავშირი მხოლოდ მანამდეა ძლიერი, სანამ თვითეული მისი წევრი ცალცალკე თავს უძლურადა ჰგრძნობს. მაგრამ, როცა ადამიანი მეტ ძალას იძენს, — იგი ალარ ემორჩილება ამ კავშირის ადათ-ჩვეულებებს და თანდათან ეჩვევა მათს ოარღვევასა და უარყოფას. ეხლა იგი თვითონ უძღვება თავის ძეურნეობას, „თავის“ ქონებას „სხვების“ ქონებისაგან არჩევს და თავის პირადს სარგებლობას საზოგადო სარგებლობისაგან აცალკევებს. ვინც საკმაოთ ძლიერი და ბედნიერებულია, იგი თავისი სანათესაო კავშირის სხვა წევრებზე მაღლა დგება. ამიდან იგი უფრო მეტის ნადავლით (ნაალაფევით, ნატაცებით) ბრუნდება, და სანათესაო კავშირიც მეომრის ნაალაფევს მასვე აკუთნებს, მის საკუთრებადა სცნობს. თუ იგი მისანია (მკითხავი, გულთმისანი), მაშინ თავისი თანამოკავშირეების ცრუ მორწმუნეობით სარგებლობს და, ვითომ ღმერთების მოსარბილებლად, ათასნაირათ აძრობს ტყავს. ამ ნაირათვე, ალებ-მიცემობაც (ვაჭრობა), რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა და სხვა კავშირთა შორის იმართება, მხოლოდ იმათ ამდიდ-
რებს, ვინც უფრო ლონიერი და მოხერხებულია: პირველ-ყო-
ფილ საზოგადოებებში, ჩვეულებრივ, მთელი ალებ-მიცემობ-
თემის უფროსთა ხელშია და მისი მოგებაც ამავე უფროსებს
და მათს მხლებლებს ეკუთვნის.

თვით უძრავი ქონების, მიწის დამუშავებაც ეხლა ძლი-
რებს უფრო ამდიდრებს, ვინემ კავშირის დანარჩენ წევრებ-
პირვანდელ კავშირებში უხსოვარის დროიდან ასეთი წესი არ
სებობდა: რადგან ხალხის სიცოცხლისა გამო მიწა ყველასა-
თვის საკმაო იყო, თვითეულ წევრს უფლება ჰქონდა იმდენ-
მიწა აეღო სამუშევრათ, რამდენის დამუშავებაც შეეძლო; კა-
შირი არ უკრძალავდა მას, თუკი შესძლებდა, სხვებზე მეტ-
მიწაც დაემუშავებინა; და ეს ნამეტანი ნამუშევარი მთლა-
მისსავე საკუთრებად რჩებოდა. როცა პირვანდელ კავშირ-
თანასწორობა დაირღვა და უფრო ძლიერი წევრები დაწინა-
ურდენ,—უკანასკნელებმა აღნიშნული წესი თავის სასარგებ-
ლოდ ამოიყენეს: ახლა მათ ჰყავდათ ომით ან გაცვლით ნა-
შოვნ[illegible]ები და მაშასადამე მეტი მიწის დამუშავებაც შეე-
ლოთ; საზოგადო უძრავი ქონებიდან იგინი სხვებზე უფრ-
მეტ მიწას იჭერდენ, მონების შრომით მდიდრდებოდენ და
თავის სუსტს თანამოკავშირეებს, სიმდიდრის მხრით, შორ-
უკან იტოვებდენ. ამ გვარათ ერთისა და იმავე საგვარეულო-
კავშირის წევრთა შორის თანდათან მაღალი კედელი იმართ-
ბოდა: ერთ მხარეს იჭერდენ მდიდრები და, მაშასადამე, მსუ-
ნენი, ხოლო მეორეს—გამხდრები ანუ ღარიბები.

სადაც ადამიანთა კავშირი იზრდებოდა და ფართოვდ-
ბოდა, სადაც რამოდენიმე პატარა საგვარეულო კავშირი სამ-
ხედრო და სამეურნეო მიზნით ერთმანეთს უერთდებოდა და
ერთს დიდ კავშირს (სახელმწიფოს) ადგენდა,—იქ ძველებურ-
სისხლის ნათესაობა თანდათან მნიშვნელობას ჰკარგავდა და
სანათესაო ძმური განწყობილების ადგილს სულ სხვაგვარ-
ურთიერთობანი იჭერდენ. წინანდელი ძმები ეხლა ერთმანე-
თის მოსისხლე მტრები ხდებოდენ. ძლიერსა და მდიდარს გა-
ლატაკებული თანამოძმის გასაჭირი არ ადარდებს; პირიქით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გასაჭირს იგი თავის სასარგებლოდ იყენებს: როცა ლატაკი მოძმე მას შემწეობასა სთხოვს, იგი სესხად აძლევს ნივთიერ დახმარებას, მაგრამ ერთს ათად ახდევინებს. ხოლო, როცა ლარიბს სახსარი არა აქვს ვალი გადაიხადოს, მაშინ მსესხებელი მდიდარი თვით მას, მის სამკაულ ხელებსა და შრომას ისაკუთრებს; მოვალე მსესხებელის მონა ხდება და უცხო-ტომელ მონებს უთანასწორდება. ხშირათ ლარიბი, რომ შიმშილისაგან თავი გადაერჩინა, თავის ნებით ეძლეოდა ხელში მდიდარს თანამოძმეს,—ოლონდაც მისთვისა და მისი ცოლ-შვილისათვის საჭმელი არ მოეკლოთ.

ამ გვარათ, ადამიანთა წრეში სრულიად ახალი ურთიერთობანი წარმოიშო: კეთილ პიროვნული საკუთრება შეიქნა ეხლა ადამიანის მდგომარეობის მაჩვენებელი საზოგადოებაში და ერთი მხარე მეორეზე გააბატონა. მდიდარი ლარიბს ვალის ბადეში ახვევდა და ამით სხვისი შრომის პატრონი ხდებოდა, რაც მას კიდევ უფრო ამდიდრებდა. პირიქით, ვინც ლარიბი იყო, მისთვის მცირეოდენი ფეხის გადაბრუნებაც კი კმაროდა, რომ მთელი ქონება დაეკარგა და საშინელ სიღატაკეში ჩავარდნილიყო. ამის გამო, ქონებრივი უთანასწორობა და შუღლი, რაკი ერთხელვე გაჩნდებოდა ერთი კავშირის წევრთა შორის, თანდათან იზრდებოდა და ძლიერდებოდა.

ამნაირს შუღლსა და უთანასწორობას ვხედავთ არამც თუ ევროპისა, აზიისა და ამერიკის განვითარებულ საზოგადოებებში, არამედ თვით ველურ თემებშიაც კი, რომელნიც შედარებით უფრო ახლო დგანან პირვანდელ საგვარეულო კავშირებთან.

აფრიკაში, მაგალითად, ყველგან ცნობილია ერთგვარი ჩვეულება, რომლის ძალითაც მოვალე მსესხებელის საკუთრებად ხდება. იქვე ერთ თემში წესად მიღებულია, რომ, უკეთ ლარიბი იმაზე მეტ ვალში ჩაიგდებს თავს, რასაც თვით მისის და მისი ოჯახის გაყიდვით აღებული ფული აანაზღაურებს,—თავის მოკვეთით ისჯება; უწინ კი ამგვარს მოვალეებს ცოცხლივ მარხავდენ მიწაში და თანაც სახალხოდ აცხადებდენ: „ესა და ეს კაცი ვალებმა შესჭამესო!“ ამასვე ვხედავთ ცივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩრდილოეთის მცხოვრებია შორისაც. მაგალითად, მოყიალე ჩუკჩების შესახებ ერთი მოგზაური სწერს: „მათს ბანაკში რ მოდენიმე ოჯახი ვნახე, რომელნიც ყოველგვარს შავ სამუ ოს ასრულებდენ; მათ არავითარი საკუთრება არ ეაჩნდათ (არც უფლება ჰქონდათ მდიდრებისთვის თავი დაენებებინა პატრონებისაგან იგინი ღებულობდენ სასმელ-საჭმელსა, ტანი სამოსსა და ბინას, — მაგრამ ვალდებულნი იყვენ, მეტათ მძიმ სამუშაოები ესრულებინათ: მაგალითად, გაქანებულ მარხილ გვერდით მისდევდენ და შიგ შებმულ ძაღლებს უტატანებდენ მაშინ როცა მათი პატრონ-მბრძანებელი მარხილში ბრძანდ ბოდა გამოჭიმულიო“.

კულტურული ერების ისტორიაც მოგვითხრობს, თუ რ გორ იყრიდა ... სიმდიდრე კერძო პირების ხელში და . . უკანასკნელნი რარიგ ხმაროობდენ ამ სიმდიდრეს თავის ღარი და სუსტ თანამემამულეთა დასამონავებლად, მათი შრომი ხელში ჩასაგდებლად. უკვე ებრაელ... წინასწარმეტყველებ ცეცხლ-მგზნებარე სიტყვებით ამხელენ და ჰკიცხავენ მა რომელნიც „უმატებენ სახლსა—სახლსა თვისსა და მინდორ —მინდორსა თვისსა, ასე რომ სხვას ადგილიც აღარა რ ბათ“.—ელისე წინასწარმეტყველს ერთი ქვრივი შესჩიოდ „ქმარი მომიკვდა; ეხლა მოვიდა მევალე და სურს ჩემი ორ შვილი მონებად წაიყვანოსო“. რაც დრო გადიოდა, ღარიბ ბი უფრო ღარიბდებოდენ, ხოლო მდიდრები სუქდებოდენ (განცხრომით ცხოვრებას ეჩვეოდენ: ეხლა იგინი აღარ სჯერ დებოდენ უბრალო სახლებსა, სადა ტანსაცმელსა და ჩვეულ ბრივ სასმელ-საჭმელს, არამედ თლილი ქვისაგან სასახლეებ აგებდენ, ძვირფას ტანსაცმელით ... ოდენ და უცხო-უცხ სანელ-ეაგით იტკბობდენ განებივრებულ ხალხს.

უუძველესი ბერძნული სიმღერებიც აგვიწერენ მდიდა და ღარიბ თანამემამულეთა შორის არსებულს განსხვავებას და განხეთქილებას: ოემის წინამძღოლებსა და მათს მხლებ ლებს იგინი სამართლიანათ ეძახიან „მსუქნებსა“ და „ბედნი ერებს“; ხოლო მგოსანი-გლეხი გეზიოდე პირდაპირ ამბობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ „ბატონების ხელში მდებიო ხალხი იმგვარათვე უმწეოა, როგორც ბულბული შევარდენის ბრჭყალებშიო“.

როცა ბერძნის გლეხი, ამაოხრებელის ომის ან ბუნებისაგან მიყენებული გაჭირვების გამო ილაჯ-გაწყვეტილი, თავის მდიდარ ... ვემამულეს მიმართავდა შემწეობის სათხოვრად, — მთელ თავის მამულს მევალეს აძლევდა, ხოლო მევალე მის მამულში იმ წამსვე ქვის ბოძს ამართავდა, რომელზედაც იწერებოდა ვალის რაოდენობა და მსესხებლის ვინაობა. აქედან იწყებოდა გლეხის დაღუპვა, რადგან მას არას გზით ალარ შეეძლო ვალიდან გამოსვლა, ხო... ... სასტიკი მევალე გულგრილათ იმეტებდა მას და მთელს მის ოჯახობას ეგვიპტესა და ლიბიაში გასასყიდლად. ასეთმაც დაქცეულ-გალატაკებული გლეხი-მოვალე თვითონვე რჩებოდა თავისი სამშობლო მიეტოებია და უცხო ქვეყანაში გაქცევით გადაერჩინა თავი მონობისა და ათასგვარი დამცირებისაგან. ზოგჯერ მევალე თავის მოვალე გლეხს მისსავე ადგილ-მამულზე დარჩენის უფლებას აძლევდა და თავის მებეგრედ ხდიდა: გლეხი ვალდებული ხდებოდა მთელი მოსავლის ხუთი მეექვსედი ნაწილი ბატონისათვის მიეცა, ხოლო თავისთვის შეეძლო მარტო ერთი მეექვსედი დაენარჩუნებია.

რაც უფრო დრო ადიოდა, დავალიანებული გლეხების რიცხვი თანდათან მატულობდა ძველ საბერძნეთში, სადაც ბოლოს დროს თითქმის მთელი მიწა-წყალი რამდენისამე მდიდრის ხელში გადავიდა, აუარებელი გალატაკებული გლეხკაცობა კი ცოლ-შვილითურთ მათი ყურმოჭრილი მებეგრე-ყმა შეიქნა და „ვალის ლოდებმა“ (ქვის ბოძებმა) სასაფლაო ძეგლების მსგავსად მოიცო სახნავ-სათესი ადგილები.

რომშიაც ადრე იგრძნო სილარიბის სუსხი უბრალო ხალხმა. როგორც წინეთაც შეგვინიშნავს, რომის უმთავრესი ძლიერება ლაშქრობაში გამოიხატებოდა: ამ ლაშქრობით იძენდა იგი ახალ-ახალ ქვეყნებს, აუარებელ მონებსა და სიმდიდრეს. მაგრამ ვიცით აგრეთვე, რომ ლაშქრობით შენაძენი სიმდიდრე მხოლოდ რამოდენისამე შეძლებული პირის ხელში იყრიდა თავს; მიწის მუშა, თავისუფალი რომაელების უდიდესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი კი, რომელიც რომის მხედრობის უმთავრეს ძალას შეადგენდა, ამ ლაშქრობათაგან ზარალის მეტს ვერაფერ იძენდა: სახელდობრ, ომი მათ დიდის ხნით აშორებდა თავის ადგილ-მამულს, რომელიც ამის გამო დაუმუშავებელი რჩებოდა, და მათს საოჯახო მეურნეობას დიდ განსაცდელში აგდებდა. აუარებელი გლეხის ოჯახი ომიანობის მსხვერპლი ხდებოდა, სუსტდებოდა და ვალიანდებოდა; ხოლო რომაული კანონით, ვინც ვალს ვერ გადაიხდიდა, მევალის ტყვედ ლა მონად იქცეოდა. პირიქით, შეძლებული რომაელები ომიდან მრავალის ტყვე-მონებით ბრუნდებოდენ, თავის მეურნეობას უფრო აუართოებდენ და სასოფლო ნაწარმოებს ფასს იძლენათ ძირსა სწევდენ, რომ მცირე მეურნე-გლეხს არას გზით ალარ შეეძლო მათთვის ქიშპობა გაეწია, იძულებული ხდებოდა თავისი ადგილ-მამულიც იმავე მდიდრისა[illegible]ს მიეყიდნა და თვითონ კი უმიწაწყლო მაწანწალად, უმწეო პროლეტარად ქცეულიყო, რომელსაც სამუშაო ძალის მეტი არაფერი გააჩნდა. მაგრამ მდიდარი რომაელები გაპროლეტარებული გლეხის სამუშაო ძალაზე უფრო მეტად მონების უსასყიდლო შრომას აფასებდენ და გლეხებს ხოლოდ მაშინ მი[illegible] ადგ[illegible] როცა ვეტათ მძიმე სამუშაო ექნებოდათ გასაკეთებელი.

გალატაკებული გლეხკაცობის რიცხვი თანდათან მატულობდა, ასე რომ მე-II საუკუნეში ქრ. წინ 75,000 რომაელ მოქალაქეთა შორის 2,000 მესაკუთრეც ძლივს მოიპოვებოდა... დანარჩენები „პროლეტარებად" იყვენ ქცეული და სადღაც სარდაფებსა და მიეარდნილ კუნჭულებში ატარებდენ გაძალლებულ ცხოვრებას. ამავე დროს „წარჩინებული" რომაელები მარმარილოს სასახლეებში განცხრომაში იყვენ და ბევრს მათგანს აზრადაც არ მოსდიოდა ამ გალატაკებულ თანამოძმეებისთვის რაიმე დახმარება გაეწია.

აი როგორ დაგვიხატა ერთმა კეთილშობილმა რომაელმა —ტიბერიუს გრ[illegible]ბა— [illegible]ულო რომაელი გლეხის გაჭირვებული მდგომარეობა (ძე-II საუკუნეში ქრ. წინ):

„იტალიაში ნადირსაც კი აქვს საკუთარი სორო და თავშესაფარი. მხოლოდ მათ, ვინც იბრძვის და იხოცება იტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიისათვის, არაფერი გააჩნიათ, გარდა ჰაერისა და სიხათლისა; მოუსვენრათ დაძრწიან ივინი მთელს მხარეში ცოლ-შვილიანა და არ იციან, სად იშოვონ ბინა და თავშესაფარი. სტყუიან სარდლები, როცა ჯარისკაცებს მოუწოდებენ — „თქვენი საშშობლო მინდვრები, ოჯახი და მამული დაიცავითო", — სტყუიან, რადგან რომაელების უმრავლესობას არც მამული გააჩნია და არც საოჯახო კერია. ამას კიდევ არ სჯერდებიან, და საცოდავებს „ქვეყნის მფლობელებსაც" უწოდებენ, და ეს მაშინ, როცა ამ უკანასკნელთ უფლებაც არა აქვთ თუნდ ერთი ნ[illegible]ეჯი მიწა თავის საკუთრებად აღიაროონ!".

დიდ გაჭირვებასა გრძნობდა მდაბიო ხალხი რუსეთსა და საქართველოშიაც. როგორც სხვაგან, ისე აქაც მთელი ერი ორ უთანასწორო ნაწილად იყო დაყოფილი: მდიდრებად ანუ შეძლებულებად და ღარიბებად. მდიდარმა და შეძლებულმა გვარებმა საქართველოში ადრევე მოიპოვეს (დაახლოებით მე-II საუკუნიდან ქრ. შემდეგ) საზოგადოებრივი პატივი და პრივილეგიები; დიდისა ანუ შეძლებულისა და მდიდარი გვარის წევრებს „აზნაურები", ე. ი. „გვაროვანები" (სპარსულ-სომხურათ „აზნ"-ი ნიშნავს „გვარს") ეწოდათ, ხოლო პატარა და ღარიბი (ე. ი. უძლური) გვარის შვილები კი „უაზნოებად" (=„უგვაროებად") იქცენ. ამ [illegible]ათ წარმოიშო „აზნაური" და „უაზნო", რომელთაგანაც პირველი თანდათან გაბატონდა მეორ[illegible]ზე და მისი მფლობელ-მბრძანებელი შეიქმნა. შემდეგში მათი ურთიერთობა თანდათან შეიცვალა და, დასასრულ, ბატონ-ყმობად იქცა. ეი როგორ აგვიწერს ჩვენებური ბატონისა და ყმის ურთიერთობას წარსული საუკუნის 60-იან წლებში (ბატონყმობის გაუქმების წინ) ჩვენი მგოსანი — პუბ[illegible] ცისტი ილია ჭავჭავაძე:

„აგერ უფალი და მისი მონა!
თრთოლით სასწორზედ ხარჯს უწონს ძნელსა
და, რა დასწორდა სასწორზედ წონა,
უფალი პინას ზედ ადგამს ფეხსა
და მით მას ხარჯსა ერთსა ორად ჰხდის...
[illegible] მწუხარედ გულს გაილიმა:

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

უმწეობითა თავის ხარჯსა ზრდის
და მის თვალთაგან ცრემლმა იწყიმა.
მაგრამ ქვა არის ბატონის გული,
ვერ დაარბილებს მას შებრალება...
მონა ბედშავი, მონა საწყალი
სდგას, ეეფერება მის თვალი შვებას
და გულში ფიქრობს: „ვაშ ჩემი ბოლი!
რით შეეძლებ შვილთა ჩემთ გამოკვებას?
ვაშ, ჩემი ოფლი მათთვის დაღვრილი,
ნაყოფი იმა ოფლით გაზრდილი,
დღე და ღამ ჩემი ტანჯვეტი შრომა,
ვაი, ვაგლახი, ჭირნახულობა,
თმენა, ცდა, სიმხნე და უძილობა
მარტო ბატონის თვალსა ახარებს
და თქვენ, ცოლ-შვილო, კი არას გარგებს!
ვაიმე, ბედკრულს რაღა დამრჩება,
რომ გავახარო ცოლ-შვილის თვალი?..
ვინა ჰშოიმრბდა და ვინა ძღება?!..
ღმერთო, სად არის აქ სამართალი?...“.

ხალხ-მეორე მგოსნის პირით იგივე გლეხი ეი რას ეუბ-ნება თავის ბატონს:

„ოხ, დარდების ამშლელო,
ჩემის გულის ხაზი ხარ!
თავდაჩრილი მიტომ ვარ,
რომ კისერზე მაზიხარ!...
პირუტყვივით მიმონებ,
მფლობ და არ გეცოდები...
შენ მღვდელივით სუქდები,
მე ოფლად ვარ დამდნარი...“-ო და სხვ.

(აკაკი წერეთელი).

ამ გვარათ, როგორც ყველგან სხვაგან, ისე ჩვენშიაც, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების წყალობით, ადამიანთა პირვანდელი ძმური თანასწორობა სრულს უთანასწორობად იქცა; და ამ უთანასწორობის შექმნაში პირველი ადგილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჭირავს ეგრეთ წოდებულის კერძო საკუთრების გაჩენა-რამოლენისამე პირის ხელში სიმდიდრის მოგროვებას. ეს სიმდიდრე მათ სძენს ძალასა და უფლებას, ღარიბ ხალხზე აბატონებსთ და, აგრეთვე, სხვისი შრომის მფლობელადაც ჰხდისთ, რაც კიდევ უფრო ხელს უწყობს მათს გამდიდრებასა და გაძლიერებას. ერთის მონობა მეორეს ამდიდრებს და „გამხდრების“ გაჭირვება „მსუქნების“ ნებიერი ცხოვრების საფუძველი ხდება. როგორც ძველის-ძველათ ადამიანთა საზოგადოება ძმურის ერთობითა და თანასწორობით იყო ძლიერი, —იმგვარათვე დღევანდელი საზოგადოების სხვა და სხვა წევრებს საერთიერთო დამოკიდებულება აკავშირებსთ; ეს დამოკიდებულება იმაში გამოიხატება, რომ: ერთსა სჭირდება ნივთიერი საშუალებანი, ხოლო მეორეს—სხვისი შრომა.

და რამდენათაც წინ მიდის ცხოვრება, იმდენათ ერთი ამ ორ პირთაგანი მეტს ძალასა და მნიშვნელობას იძენს საზოგადოების ცხოვრებაში. მაგრამ ამაზე შემდეგ გვექნება საუბარი.

ს. გორგაძე.

შეცდომის გასწორება. „ჯეჯილის“ მე-VII ნომერში შემდეგ შეცდომებია გასასწორებელი (გვ. 56):

ზოდ. სტრიქ. 11: „რომაელებ“; უნდა იყოს: „რომაელებს“.
ქვემ. სტრიქ. 7: „(ბატონის)“; უნდა იყოს: „(ბატონი)“.

ს. გ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უგულო გავი.

(მონაგონერისა)

VII

ეორე დღეს საძაგელი დარი დადგა, ღილიდან სულ წვიმდა. საუზმეზე ჯორჯი და ვილლი გაეცვნენ თავისი მამის მეგობრებს და მაშინვე ძალიან დაუაზანაგდენ მათ. ჯორჯმა მაშინვე ახარა მათ, ბ[illegible]ბკევს ჩვენ სადილათ ველოდები გვყვანდა. ,,ბადების დღისთვის-კი მე და ვილლიმ მამას მშვენიერი საჩუქარი ვუყიდეთო. ,,ნასაუზმევს სერ ეფერალდმა ერთი სტუმარი წიგნთ-საცავ ოთახში წაიყვანა, მეორე კი, პოლკოვნიკი სტერტი, ბავშებთან სასადილო ოთახში დარჩა.

მალე ვირჟინიც მოვიდა ბავშების მოსაკითხავათ.

— Monsieur Georges! Monsieur Willy!—დაუძახა მან.

ვილლი მაშინვე გაექანა მისკენ, ჯორჯი კი ადგილიდან არ დაძრულა

— Je vous attends, Monsieur Georges!—გაიმეორა ვირჟანიმ.

— არ წამოვალ[illegible]—მიუგო ბავშმა ინგლისურათ. — მე აუნდა ვიყო და მამის მოსვლამდის სტუმარი შევიქცეო.

— Je reviendrai bientot!—უთხრა ვირჟინიმ და ვილლი წაიყვანა.

— რატომ ფრანგულათ არ [illegible]ასუხეთ?—ჰკითხა ჯორჯს პოლკოვნიკმა სტერტმა.

— კვირაობით მე არაოდეს არ ვლაპარაკობ ფრანგულათ —მიუგო ჯორჯმა.—ეს ცოდვაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ცოდვაა?—გაიკვირვა პოლკოვნიკმა.

— კვირაობით სწავლა ხომ ცოდვაა? ფრანგულათ ლაპარაკი კი—სწავლაა!—აუხსნა ბავშმა.

არ იქნა და არა, წვიმამ არ გადაილო. ნასადილევს სერ ეფერარდმა სტუმრები თავისი სახლის ყველა ოთახების დასათვალიერებლათ წაიყვანა. მაინც და მაინც დიდი საინტერესო არაფერი იყო არც ერთ ოთახში, მხოლოთ ზოგან ლამაზი ნახატები ეკიდა და ერთგან ჭერი მშვენიერი მხატვრობით იყო შემკული. ამ დიდ და ცარიელ სახლში სიარული დიდი არაფერი გასართობი იქნებოდა სტუმრებისთვის, თან რომ ბავშებიც არ წაჰყოლოდათ; მაგრამ ბავშებიც თან გაჰყვენ, მხიარულათ დარბოდენ, თამაშობდენ და იცინოდენ ყოველ კუთხეში, ყოველ ოთახში—და ამით ამხიარულებდენ მიყუჩებულ სახლსაც, მამასაც და სტუმრებსაც.

ოდესაც ბავშების ოთახებში შევიდენ, ჯორჯმა და ვილლიმ მაშინვე ყველაფერი დაწვრილებით დაათვალიერებინეს და აუხსნეს თავის სტუმრებს.

— აი ეს ჩემი ლოგინია!—გამოაცხადა ვილლიმ.

— ეს ჩემი მაგიდა!—გამოაცხადა ჯორჯმა.

— ეს რაღაა?—იკითხა პოლკოვნიკმა სტერტმა და სტოლიდან პატარა, ოქროს ვარაყიანი ტყავის სათუთუნე აიღო.

პასუხის მაგიერათ ორივე ბავშმა სასოწარკვეთილებით შეჰკივლეს.

შეშინებულ პოლკოვნიკს სათუთუნე ხელიდან გაუვარდა. სერ ეფერარდმა მათკენ მიაშურა, მაგრამ ჯორჯმა უცებ დასტაცა ხელი სათუთუნეს და მეორე ოთახში გავარდა.

— რა ამბავია? რა მოხდა?—იკითხა სერ ეფერარდმა.

— შენი საჩუქარი!—თითქმის ტირილით აუხსნა პატარა ვილლიმ. სერ ეფერარდი მაშინვე გაჰყვა უკან ჯორჯს და დაარწმუნა, არაფერი არ დამინახავს და არაფერს არ მივმხვდარვარო. ჯორჯი ამ დროს გულმოდგინეთ მალავდა თავის საუნჯეს ვირჟინის კოლოფში, მის საუკეთესო შლაპის ქვეშ. როგორც იქნა მოახერხა მამამ მისი დამშვიდება და გამოიყვანა ისევ სტუმრებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კინადამ არ გამომეცალენდა ჩვენი საიდუმლო! — ლიმილით წაულაპარაკა ჯორჯმა ვილლის.

პოლკოვნიკი სტერტი ველარ ბედავდა რამესთვის ხელეხლო. მაგრამ მალე მისი ყურადღება კიდევ ერთმა საგულისხმო საგანმა მიიქცია. ეს იყო ახალი შილლინგი. რომელიც ჭიქაში იდვა.

— ეს ჩემი ფულია! — აუხსნა ჯორჯმა — მისთვის ვაგრეთვებ, რომ მოხუც ყრუ დაისონს ტრუბა ვუყიდო. სხვა ადგილ ველარსად ვიშოვე შესანახავათ და ჭიქაში ჩავდეი.

— როგორ ღირს ტრუბა? — იკითხა პოლკოვნიკმა.

— ჩვიდმეტ შილლინგათ.

— მერე რამდენი გაქვსთ კიდეც მოგროვილი?

— ჯერ მარტო ეს ერთი. — ამოიოხრა ჯორჯმა. — საქმე იმაშია, რომ მე მხოლოთ გუშინ დავიწყე გროვება.

პოლკოვნიკმა სტერტმა გამოჰკითხა ჯორჯს ვინ იყო დაისონი და რა მოხელე კაცი, მერე ამოიღო ჯიბიდან ათი შილლინგი და ჭიქაში ჩადვა ამ სიტყვებით:

— ესეც ჩემი შემოწირულება!

ჯორჯი ისე გაახარა ამ მოულოდნელმა საჩუქარმა, რომ მადლობის თქმაც ველარ მოახერხა, მაგრამ მისი მთლათ გაწითლებული, აღტაცებული სახე უსიტყვოთაც კარგათ ამტკიცებდა, რა მადლობელი იყო ის თავისი ახალი მეგობრის. ყმაწვილი მაშინვე მამისკენ გაექანა და ფულები აჩვენა. მეორე სტუმარმაც მიჰბაძა პოლკოვნიკს და ბაიშს ექვსი შილლინგი ჩაუდვა ჭიქაში.

— მაშ ახლავე �მიძლია რომ ტრუბა ვიყიდო! — სიხარულით წამოიძახა ჯორჯმა. — მე კი მეგონა, რომ რამდენიმე კვირას მომიხდებოდა ცდა! — და მან მთელი თავისი ფული მაშინვე პოლკოვნიკ სტერტს ჩააბარა და თხოვა, ხვალ ლონდონში მიხვალთ თუ არა, მაშინვე მიყიდეთ ტრუბა და ვამოგზავნეთ აქ, უეროგემშიო.

იმავე საღამოს, როცა სერ ეევერარდი სადილის საუზლათ ტანისამოსს იცვლიდა, ორივე ბავშვმა დიდი ხმაურობით შეახეთქეს მისი ოთახის კარები და მხიარულათ შებრიგინდენ მასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მამა, აი, წაიღე შენი საჩუქარი! — დაუყვირა ჯერ
და გადასცა სათუთუნე. — ჯერ კი არაა შენი დღეობა, მართალია, მაგრამ ჩვენ მეტი ცდა აღარ შეგვიძლია! აი, ახლა ხომ გაიგე ჩვენი საიდუმლო?

— ძალიან გაგაკვირვა, მამა, ჩვენმა საიდუმლომ? ხომ არ მოელოდი? ხომ ვერ მიხვდი წინ და წინ, რასაც გაჩუქებდით? — შეეკითხა პატარა ვილლი აღტაცებული ტაშის კვრით.

მართლაც სერ ეფერარდი სრულიადაც არ სტკეოდა, როცა არწმუნებდა ბავშებს, ძალიან გაკვირვებული ვარ, ამნაირ საჩუქარს სრულიად არ მოველოდი და ასი წელიწადი რომ მეფიქრა, მაინც ვერ მივხვდებოდი. თავის სიცოცხლეში თუთუნი არ მიეკარებინა, და აბა რას წარმოიდგენდა, თუ სათუთუნეს აჩუქებდენ.

ბავშები დარწმუნდენ, რომ საშინლათ ასიამოვნეს მამას და სრული კმაყოფილები ხელი-ხელ გადაკეულები დასაძინებლათ წავიდენ.

VIII

— მშვიდობით, ჯორჯ! ტრუბა ამ საღამოს, ხუთ საათზე, იქნება უერგვმის სადგურზე! — ეუბნებოდა მეორე დილას ჯორჯს ბ. ლკლენიკი სტერტი, რომელიც სერ ეფერარდთან და მის მეორე სტუმართან ერთათ ლონდონში მიემგზავრებოდა

ჯ[illegible]ჯმა მხიარულათ დაუქნია წამსვლელებს თავისი ქუდი და ვირჯინისთან გაიქცა რომ გამოეცხადებინა მისთვის, მამამ ნება მოგვცა მე და ვილლის ეტლით სადგურზე წავიდეთ და იქიდან დაისონს ტრუბა წავულოთო.

ყველაფერი მშვენიერათ მოეწყო

ხუთის ნახევარზე ორივე ბავში ეტლში ჩაჯდენ და სადგურისკენ გაემგზავრენ. ტრუბა კიდეც მოსულიყო, ისე რომ ბავშები მაშინვე დაისონისას გაემგზავრენ. გზაზე ჯორჯმა შემოხსნა ტრუბას ქაღალდი და ვილლის აჩვენა. რა საოცარი რამ იყო ეს ტრუბა! ამისთანა საკვირველი რამ ბავშებს ჯერ არ ენახათ. სამი ნაწილიდან შესდგებოდა; ეს ნაწილები ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი მეორეში შედიოდენ, ისე რომ ტრუბის საშინლათ დაგრძელებაც შეიძლებოდა და ძალიან დამოკლებაც.

ჯორჯი ეხვეწებოდა მეეტლეს, გააჭენე ცხენი და ისე წაგვიყვანეო, მაგრამ მოხუცი პეტრე ამაზე არ დათანხმდა. ჯორჯს მოწყინდა; თავის გასართობათ იმან დაიგრძელა ტრუბა და შიგ ყვირილი დაიწყო; ცხენი დაფრთხა, აჩქარდა და ვილლი კინალამ ეტლიდან გადმოაგდო. ბოლოს ჯორჯს ტრუბა ხელიდან გაუვარდა. გაიჩერეს ეტლი, იპოვეს ტრუბა, აიღეს... ყველა ამან ძალიან შეაგვიანა ბავშვები, ისე რომ მოხუც დაისონთან რომ მივიდენ, მათ უთხრეს, ფრანკინი კიდეც იყო აქ თქვენ წასაყვანათ და რომ ვერ გნახათ, ცოტა ხნით თავის ერთ ნაცნობთან წავიდა და მერე ისევ მოვალ.

ჯორჯმა წამოიღო ხელი ტრუბას, გაჰქანდა ბაღში და იქიდან მუშტები დაუშინა დაისონის კარებს. მაგრამ ყრუ-მოხუცს არაფერი ესმოდა, ის თავისთვის მოსვენებით სთვლემდა დიდ საუარძელში.

ერთ ხანს ჯორჯმა იცადა, იქნება დაგვიძახოს „შემოდითო“, მაგრამ, რადგანაც მოთმინება მაინც-და-მაინც ბევრი არ ჰქონდა, მალე დაუბატიჟებლათაც შეაღო კარები და პატარა ძმასთან ერთათ ოთახში შევიდა.

— სძინავს!—წაიჩურჩულა ვილლიმ.

— მიდი და კალთა ჩამოსწიე!—უბრძანა ჯორჯმა.

ვილლი მორიდებით მიუახლოვდა მოხუცს. დიდათ არაფრათ ესიამოვნებოდა მისი გაღვიძება, მაგრამ ჯორჯს აბა როგორ არ გაუგონებდა! ჯორჯმა კი ტრუბა ზურგს უკან ამოიდვა და მოუთმენლათ ელოდა რომ ვილლის მისი ბრძანება შეესრულებინა.

ვილლი ნაზათ შეეხო მოხუცს. მოხუცმა მხოლოთ ტკბილათ გაიღიმა ძილში.

— ხელზე ხელი მოჰკიდე და შეანძრიე!—ისევ უბრძანა ჯორჯმა პატარა ვილლის.

ვილლიმ კრძალვით დაადვა თავისი პაწაწინა ხელი მოხუცის დიდ, დანაოჭებულ ხელს.

— მაგრათ, მაგრათ შეანძრიე!—დაუყვირა ჯორჯმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილლიმ რამდენჯერმე ჩამოსწია ძირს მოხუცის ხელი, მაგრამ მოხუცი მხოლოთ ცოტათი შეინძრა და ისევ ტკბილათ ჩაიძინა.

ვილლი მოშორდა მას.

— აბა ახლა კალთაში ჩაუხტი! — გამოსცა ბრძანება ჯორჯმა.

ვილლის ცხვირი ჩამოუგრძელდა.

— მეშინია, ჯორჯიკო! — წაიბუტუნა მან.

— რისი გეშინია, შე სულელო? მოხუცი დაისონის? მერე არ იცი რა კეთილია? არ იცი, რომ არაფერს არ გიზამს? — ამ სიტყვებით ჯორჯი გაჭანდა და ერთ წამს ჩაუხტა მოხუცს კალთაში. ის შეშინებული წამოვარდა, მაგრამ, იცნო თუ არა თავისი პატარა სტუმრები, მაშინვე ისევ დაჯდა და სიყვარულით გაულიმა ბავშებს.

— თქვენმა ფრანგის ქალმა მითხრა რომ მოხვალთ. — თქვა მან. — როგორ ხართ, ჩემო პატარა მეგობრებო?

— კარგათ გახლავართ! მადლობას მოგახსენებთ! — მიუგო ვილლიმ და მიუახლოვდა მოხუცს.

დაისონმა ყურთან ხელი მიიტანა.

— არ მესმის რას ამბობთ! — მწუხარეთ წაილაპარაკა მან. — დავბერდი და მთლათ ერთიანათ გამოვყრუვდი. სულ უარესათ და უარესათ მესმის რაც დღე მიდის.

ჯორჯი სიხარულით შეხტა და შემოტრიალდა, სწორეთ ძალიან ასიამოვნებს ჩემი საჩუქარიო, ვილლიმ კი ალტაცებით ჰკითხა:

— მალე ყველაფერს გაიგონებს, არა ჯორჯ?

— დაისონ! — დაიყვირა რაც ძალი და ღონე ჰქონდა ჯორჯმა, უკან დაიწია და მოხუცს ხელებით ანიშნა, მომიახლოვდიო.

დაისონი წამოდგა და ბავშს მიუახლოვდა. ჯორჯმა ტრუბა ასწია და მოხუცს ყურთან მიუდგა და „როგორ ბრძანდებითო?“ — ისე ხმა მაღლა ჩასძახა შიგ, რომ მოხუცი შეხტა და უკან გადაჰქანდა. სავარძელში რომ არ ჩავარდნილიყო და ძირს დაცემულიყო, ვერც კი გადარჩებოდა, საცოდავი. ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანს ის გაუგებრათ აკანტურებდა თავს იქით აქეთ, თან რაღაც სიტყვებს ლუღლუღებდა. ბავშვები მთლათ გაიბნენ და არ იცოდენ რა ექნათ. ბედზე, ამ დროს ოთახში ის ქალი შემოვიდა, რომელმაც წელან ჭიშკართან უთხრა, ვირჟინი იყო და წავიდაო. მას თურმე ძალიან უნდოდა გაეგო, რათ მოვიდენ ბავშვები დაისონთანო და ფანჯრიდან უთვალთვალებდა მათ.

როცა მიხვდა, რაშიაც იყო საქმე, კარი შემოაღო და შემოვიდა.

ქალმა აუხსნა მოხუცს ყველაფერი, მერე აიღო ტრუბა, მიადვა მას ყურზე და ნელი ხმით ლაპარაკი დაუწყო. სწორეთ სანახავი იყო ამ დროს ორივე ბავშის ალტაკცვნული სახე! ისინი თვალს ვერ აშორებდენ დაისონს, რომელიც სიხარულით იმეორებდა:

— მესმის, ყველაფერი მესმისო!

დაისონმა დიდი მადლობა გადაუხადა ბავშებს მშვენიერი საჩუქრისთვის, მერე უთხრა ჯორჯს, აბა, ახლა მელაპარაკეო. მაგრამ ქალმა გამოაცხადა, ვილლის უფრო ნაზი ხმა აქვს, ვიდრე ჯორჯს და სჯობს ამან გელაპარაკოსთო.

ვილლიმ აიღო ტრუბა ხელში და ნელი ხმით უთხრა მოხუცს:

— ძალიან ვწუხვარ, რომ ჯორჯმა ასე შეგაშინათო.

მაშინ დაისონმა ისევ ჯორჯისკენ მიაბრუნა თავისი ტრუბა. ჯორჯმა მიუახლოვა მას პირი, მაგრამ ისე ეკინებოდა რომ ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა. მისმა სიცილმა დაისონ ყურში მოუხიჩინა და ტრუბა მაშინვე ძირს ჩამოიღო.

საცოდავი მოხუცი ისე გახარებული იყო, რომ გადასწყვიტა იმავ წამს წასულიყო ელაპარაკნა მეზობლებთან, რომლებთანაც აგერ რამდენიმე წელიწადი იყო არ ელაპარაკნა.

ბავშებიც უკან გაჰყვენ. ჭიშკართან შეხვდათ ვირჟინი, რომელიც მათ მოსაკითხავათ მოდიოდა. დაისონმა მა მაშინვე თავისი ტრუბის დახმარებით გრძელი და დაუსრულებელი საუბარი ვაუმართა.

ჯორჯი მშვენიერ გუნებაზე იყო და წაუჩურჩულა ძმას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდი, სანამდის ვირჟინი ლაპარაკობს, შემოხვევით ბალ-
ლოთ და ტბასთან წავიდეთო: იმან კარგათ იცოდა გზა. აგერ
ლობეზე უნდა გადამძვრალიყვენ და იმ წვრილ ბილიკს დად-
გომოდენ, სულ რამდენიმე წუთში მივიდოდენ.

ბავშები გადაძვრენ ლობეზე და სირბილით გაუდგენ გზას.

პირობა, რომელიც მამას მისცა, სულ არ აწუხებდა
ჯორჯს. „თუ ხეზე არ შევალთ—რა უჭირსო!—ჰფიქრობდა
ის.—მაშინ არც ვირჟინი გაგვიწყრება და არც მამას ეტყვისო“.

ვირჟინის არც კი შეუნიშნავს, როგორ გაეპარა ორივე
პატარა ცელქი.

ელ. წეროეთლისა.

(შემდეგი იქნება)



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მსოფლიო ისტორია

ერნესტ ლავისისა

წიგნი II

ახალი დროება

თავი V

ინგლისის რევოლუცია

124. მეფე და პარლამენტი.—1. იმ დროს როცა საფრანგეთის მეფე ევროპის უძლიერესს ხელმწიფედ ხდებოდა, ინგლისში რევოლუცია იყო ატეხილი. 2. ინგლისის მეფე როდი იყო საფრანგეთის მეფესავით სრული ბატონი ქვეყნისა. 3. ერთ დროს, 1215 წ., ინგლისის დიდებულებმა მეფეს იოანე უშიწოს ხელი მოაწერინეს დიდს ქარტიაზედ*) 4) ამ საგელით მეფემ თავს იდვა არასოდეს არ გამოერთმია ხარჯი ინგლისელებისათვის თუ არ მათის ნებაყოფლობით.

5. მეფეს რომ ფული დასჭირდებოდა, ინგლისის დიდებულებსა და ქალაქის დეპუტატებს შეკრებდა და ხარჯის გაწეროს მოსთხოვდა. 6. ამ კრებულს ერქვა პარლამენტი.

7 მე-XIV და XV საუკუნეებში ინგლისის მეფეებმა ასი წლის ომი გაუწიეს საფრანგეთის მეფეებს მემკვიდრეობისათვის (1337—1453 წ.). 8) მერე ასტყდა საშინელი შინაბრძოლა პლანტაგენეტიანთ სამეფო გვარის ორს სახლს შუა (1460—1485 წ.). ამ შინაბრძოლას დაერქვა ოთხი ვარდის ომი, იმიტომ რომ ორსავე სახლს, რომელიც მეფობას ეძებდა, გერბში ვარდი ჰქონდა გამოსახული: იორკის სახლს თეთრი ვარდი და ლანკასტრისას—წითელი.

---

*) დიდი ქარტია, ინგლისის საკონსტიტუციო კანონი, საფუძველი მისის თავისუფლებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. ამ ომებმა გააღარიბა დიდებულები, ასე რომ მე-XVI საუკუნეში მეფეები ადვილად იმორჩილებდნენ, თუმცა პარლამენტის მოწვევა მეფეებს იმ დროსაც არ მოუშლიათ. 11. ყველაზედ ძლიერი ხელმწიფე ინგლისში იყო ელისაბედ მეფე (1553—1603 წ.). 12. ელისაბეთ გაუძალიანდა ესპანიის მეფეს ფილიპე II-ს და მოსპო კათოლიკების შეთქმულობა. 13. ფილიპე II სცადა ბის წინ აღედგინა შოტლანდიის მეფე მარიამ სტუარტ, საფრანგეთის მეფის ფრანჩესკო II-ის ნაქერიანალი. 14. მაგრამ ელისაბეთ მეფემ შეიპყრა მარიამ სტუარტ და თავი მოჰკვეთა.

1. რა ხდებოდა ინგლისში მე-XVII საუკუნეს?—2. ინგლისის მეფეს ისეთივე უფლება ჰქონდა როგორც საფრანგეთისას?—3. რა ააძულეს მეფეს იოანე უმიწოს?—4. რა იდო თავს მეფემ? 5. რას შერებოდა მეფე ფულის საშოვრად?—6. ... ერქვა კრებულს?—7. რისთვის იყო ესი წლის ომი?—8. რა მიხდა ინგლისში ესი წლის ომის შემდეგ—9. რა ჰქვიან ამ შინაბრძოლას და რადა?—10. როგორი იყო ინგლისის მეფის უფლება მე-XVI საუკუნეში?—11. ვინ იყო უძლიერესი ხელმწიფე?—12. ვის ებრძოდა ელისაბეთ მეფე?—13. ვინ აუდგინა მტრად ფილიპე II-ემ?—14. რა მოუვიდა მარიამ სტუარტს?

125. ბრძოლა მეფესა და პარლამენტს შუა.—1. 1603 წ. ელისაბეთ მეფე მოკვდა უშვილო და მემკვიდრეობით გამეფდა მისი ნათესავი შოტლანდიის მეფე იაკობ, სტუარტიანთ გვარისა. მას აქეთ ინგლისსა და შოტლანდიას ერთი ხელმწიფე ჰყავთ. 2 იაკობის შვილს კარლო I-ს ვერ აეტანა პარლამენტი და თერთმეტი წელიწადი არ შეკრიბა დეპუტატები. 3. მათ დაუკითხავად ხარჯს ახდევინებდა ხალხს.

4. ერთმა შეუპოვარმა ინგლისელმა, ჰემპდენმა, უარი უთხრა მთავრობას ხარჯის გადახდაზედ და გამოუცხადა, რომ მეფეს ხარჯის აღების ნება არა აქვს, სანამ ქვეყნის დეპუტატებს დასტური არ მიუცია თან. 5. ამავე დროს მეფე სდევნიდა პროტესტანტებს, რომელნიც არ ემორჩილებოდნენ ანგლიკანს ეპისკოპოზებს. 6. შოტლანდიელები აჯანყდნენ (1638 წ.).

7. ფულის საშოვნელად მეფე იძულებული გახდა ინგლისის პარლამენტი შეეკრიბა. 8. პარლამენტმა პირველს მინისტრს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილით დასჯა გადუწყვიტა. 9. მაშინ დაიწყო შინაბრძოლა (1642 წ.). 10. კარლო I-ს ჰყვანდა თავისკენ დიდებულების ჯარი; დევნული პროტესტანტები კი მიემხრნენ პარლამენტს და დაეწყვნენ მის ლაშქრად. 11. კარლო I დამარცხდა, დატყვევდა და პარლამენტმა თავი მოჰკვეთა (1642 წ.) ეს პირველად მოხდა რომ ყმებს თავიანთი ხელმწიფე სიკვდილით დაესაჯათ.

126. კრომველი.—12. პარლამენტმა გამოაცხადა რესპუბლიკა, მაგრამ მისნი მომხრენი ორ ბანაკად გაიყვნენ. 13. ერთ მხრივ იყვნენ ბუ[illegible]ტანები *), უკიდურესი და [illegible]ლავრი პარტია, რომელსაც ჰყვანდა მოთავედ კრომველი, პარლამენტის ჯარის დამწყობი და მეფის დამწარცხველი. 14. მეორე მხრივ შოტლანდელები და ირლანდელები, რომელთაც ურ უნდოდა რესპუბლიკა და გაამეფეს კარლო I-ის შვილი. 15. კრომველმა დაამარცხა ესენი (1649—1651 წ.).

16. მერე შემოვიდა ინგლისს, გაავდო პარლამენტიდან დეპუტატები, ლაკეტა მისი დარბაზი, გასალები ჯიბეში ჩაიდო და კარებზედ დააწერინა: ეს სახლი ქირით იძლევაო. 17. კრომველმა დაიჭირა ბროტექტორას**) წოდება და მართო განაგებდა ინგლისს (1653—1658 წ.). 18. იმის მართებლობაში ინგლისელებმა პირველად გაიჩინეს ძალიერი ფლოტი.

1. ვინ გამეფდა ინგლისში 1603 წ.—2. რა ჰქნა კარლო I-მა?—3. როგორ იდებდა ხარჯს?—4. რა იცით ჰემპდენისა?—5. როგორ ეკრძალებოდა პროტესტანტებს მეფე?—6. რა ჰქნეს შოტლანდელებმა?—7. რისთვის შეკრიბა მეფემ პარლამენტი?—8. რა გადაწყვიტა პარლამენტმა—9. რა წარმოსდგა მაგისაგან?—10. ვინ იყვნენ ორსავე ლაშქარში?—11. რა მოუვიდა კარლო I-ს?—12. რომელი მართველობა გამოაცხადეს—13. ვინ იყო კრომველი?—14. რა ჰქნეს შოტლანდელებმა და ირლანდელებმა?—15. ვისგან დამარცხდნენ?—16. რა ჩაიდინა კრომველმა ინ-

---

*) პროტესტანტობის სიწმინდის დამცველნი, რომელნიც უარჰყოფენ საეკლესიო იერარქიას და წესებს.

**) პროტექტორი—მფარ[illegible]ელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლისში?—17. რა წოდება დაიჩემა და როგორ მართავდა ქვეყანას?—18. რაში გამოადგა ინგლისს მისი მართებლობა?

127. 1688 წ. რევოლუცია.—1. ინგლისელებს მაინც უნდოდათ მეფე ჰყოლოდათ. 1660 წ. დაისვეს მეფედ კარლო I-ის შვილი, კარლო II, მაგრამ იმისი მართებლობა ისეთივე ცუდი გამოდგა, როგორიც მისი მამისა. 2. მეფე სდევნიდა დისიდენტებს *) და ოპოზიციის დეპუტატებს. ფულის გულისათვის საფრანგეთის მეფეს ლუდოვიკო XIV-ს მოჯამაგირედ გაუხდა. 3. იაკობ II-ის მეფობა (1683—1688 წ.) უარესი იყო. 4. ინგლისელებს სძულდათ ეს მეფე იმიტომ, რომ კათოლიკე იყო და უპარლამენტოდ მართავდა ქვეყანას.

5. ამ დროს ჰოლანდიაში სცხოვრებდა ერთი გერგილიანი მთავარი, უილიამ ორანჟელი, იაკობ II-ის სიძე. 6. რა ნახა რომ ინგლისელებს თავიანთი მეფე შესძულებიათ, შემოვიდა ინგლისში ოხუთმეტი ათასის ჯაოით. 7. თავის დროშაზედ დაეწერა: სარწმუნოებისა და თავისუფლებისათვისა. 8. ინგლისელები მიეგებნენ. იაკობ II გაიქცა და პარლამენტმა გამოაცხადა უილიამ ინგლისის მეფედ 1689 წ.

128. პარლამენტური წეს-წყობილება.—9. სანამ უილიამს მეფედ დასვამდა, პარლამენტმა გამოსცა ინგლისელების სიმართლის გამოცხადება. გამეფებისას ყველა ინგლისის მეფემ უნდა აღუთქვას პარლამენტს ამ სიმართლის პატივისცემა. 10. გამოცხადების ძალით ქვეყნის დეპუტატები უნდა შეიკრიბნენ ეოველ წელს; ესენი სდებენ სჯულსა და აწერენ ხალხს გადასახადსა; თუ მეფე ცუდად მართავს, პარლამენტს სიმართლე მიუძღვის გაუძღიანდეს. 11. ვერც ერთს ინგლისელს ვერ შეიპყრობენ, თუარ სასამართლოს განაჩენით და ვერავინ გაასამართლებს, თუ არ ნაფიცი მსაჯულები, ესე იგი ქვეყნის მკვიდრნი. 12. ასეთს მართველობაში მეფეს როდი შეუძლიან თავის ნებაზედ ბძანება გასცეს. ხელმწიფე ვალდებულია პატივი სცეს ქვეყნის მკვიდრთა სამართლეს და კონსტიტუციას. ხალხი კი თვით-მართველობს თავის პარლამენტით. 13. ასეთს მართველობას ჰქვიან პარლა-

*) ვინც არ ეთანხმება დაწესებულს სარწმუნოებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენტური ან კონსტიტუციონური წეს-წყობილება. 14. ეს წეს-წყობილება პირველად ინგლისელებმა შემოიღეს. 15. და მით შეეძინეს დიდი რევოლუცია, რომელმაც მოამზადა სოციალისტური რევოლუცია.

1. რა ჰქონეს ინგლისელებმა 1660 წ.?—2. როგორ იქცეოდა კარლო II?—3. როგორი იყო იაკობ II?—4. რად სძულდა ინგლისელებს?—5. ვინ იყო უილიამ ორანჟელი?—6. რა ჰქონა უილიამ ორანჟელმა ინგლისში?—7. რა ეწერა მის დროშაზე?—8. რა ჰქონა იაკობ II-მ და პარლამენტმა?—9. რა პირობა დაუდო პარლამენტმა უილიამ ორანჟელს?—10. რა არის სიმართლის გამოცხადება?—11. რა სიმართლე აქვს ნაფელა ინგლისელს?—12. რა მოვალეობა ადევს მეფეს?—13. რა ჰქვიან ასეთს მართველობას?—14. ვინ შემოიღო პირველად?—15. რა მოამზადა ამ რევოლუციამ?

—

შინაარსი (ზეპირად სათქმელი).

I. დიდი ქარტიის გამოცემიდან დაწყებული (1215 წ.) ინგლისის მეფე, როცა ფული უჭირს, იძულებულია შეკრიბოს პარლამენტი.

II. მეფე კარლო I, სტუარტიანთ გვარისა, ერთხა და იმავ დროს მეფე ინგლისისა და შოტლანდიისა, თერთმეტ წელიწადს მართავს უპარლამენტოდ.

III. პარლამენტი რომ შეიკრიბა, ასტედა შინა ბრძოლა (1642 წ.). კარლო I დაამარცხეს, შეიპყრეს და თავი მოსჭრეს (1649 წ.).

IV. მაშინ ინგლისში დაწესდა რესპუბლიკა. მაგრამ გენერალმა კრომველმა გაჰყარა პარლამენტი და განაგებდა ქვეყანას პროტექტორის წოდებით (1653—1658 წ.).

V. მეფობა ადგენეს კარლო II-ის კაშეფებით (1660 წ.). მაგრამ მისი მემკვიდრე იაკობ II, რომელიც ინგლისელებმა შეიძულეს მისი კათოლიკობისათვის, განდევნეს 1688 წ. და მის მაგიერ დასვეს უილიამ ორანჟელი, ჰოლანდიელი მთავარი.

VI. სიმართლის გამოცხადებამ, რომელზედაც დაიფიცა უილიამ მეფემ, დაამკვიდრა ინგლისში პარლამენტური წესწყობილება.

ალ. სარაჯიშვილი.

1-44

ეროვნული
ბიბლიოთეკა